# სოციალური პედიატრია

Social Pediatrics

ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული

№44 დეკემბერი

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის და ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის გაზეთი 2018წ.

Journals of Social Pediatrics Protection Fund and Georgian National Section of Euroscience


ყველანი ერთად ახალი ძლიერი, სტაბილური, თავისუფალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში!

## გილოცავთ ახალ 2018 წელს!




ბავშვთა უსაფრთხოება მეცნიერების გზით

1.06.08; 20.12.08; 23.12.08; 01.06.09; 19.12.09; 01.06.10; 03.12.10; 01.06.11; 23.12.11
01.06.12; 21.12.12; 1-4.06.13; 17-21.12.13; 1-2.06.14; 27-28.12.14; 1.06.15; 11-12.12.15; 1-6.06.16; 9-10.12.16; 1-2.06.17; 08.12.17; 01.06.18; 07.12.18

**23.04.99 01.06.2000**
„ბავშვთა კვება XXI საუკუნეში" სიმპოზიუმი №1 №2

**20.05.99 01.06.2000**
„ორთოპედიული სკოლა"
სიმპოზიუმი №1 №2

**17.12.99 01.06.2001 6.11.2002 27.02.2003**
„მუკოვისციდოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხები"

**01.06.2000–2001–2002–2003–2004 22.12.2007**
„ახალგაზრდა პედიატრთა XVIII-XXI კონფერენცია"

**28.02.2001**
„რესპირატორულ დაავადებათა თერაპიის აქტუალური საკითხები პედიატრიაში"

**01.06.2001**
„ბავშვი, მოზარდი და ოჯახური ძალადობა"
სიმპოზიუმი №1

**01.06.2001 30.05.2002 01.06.2003**
„ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული"
სიმპოზიუმი №1 №2 №3

**13.02.2002**
„ადამიანის გენომის პროექტი"

**10.03.2002**
ახალგორი. მატონიზირებელი სასმელი „ლომისის" პრეზენტაცია

**5.11.2002 28.11.2002**
ხსოვნის საღამო №1 №2 „პროფ. ი. კვაჭაძე, პროფ. გ. ჟვანია"

**7.11.2002**
„თანდაყოლილი ინფექციების თანამედროვე ასპექტები"

**2.06.2008 - 01.06.2010; 01.06.2014**
საქართველოს მედდათა I კონგრესი , II კონგრესი , III კონგრესი

**25.XII.98**
I კონფერენცია „ჩვენთან ერთად ირწმუნე უკეთესი მომავლის რეალობა"

**01.VI.99–9.IX.2005**
I-II საერთაშორისო კონფერენცია „ჯანმრთელი ბავშვი - მშვიდობიანი კავკასია"

**25.XII.99**
III კონფერენცია „დღევანდელი ეკონომიკური მიმართულებანი პედიატრიაში და მისი პერსპექტივა"

XXI საუკუნის პედიატრია - ინვალიდობის პროფილაქტიკის მედიცინად უნდა იქცეს

**01.06.2000; 01.06.2001; 30.05.2002; 08.11.2012; 01.06.2018**
IV-V-VI(XX) XXI-XXII ახალგაზრდა სპეციალისტთა, რეზიდენტთა და დოქტორანტთა კონფერენცია; კონფერენცია „ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული" მიძღვნილი ბავშვთა საერთაშორისო დღიადმი

**27.III.2001**
შეხვედრა სახალხო დამცველის ოფისში „არასრულწლოვანი დამნაშავეები, მათი უფლებები და რეალობა"

**04.09.2002**
შეხვედრა „გლობალური მარშის" წარმომადგენელ კაილაშ სატიარტთან

**01.06.2001 06–07.11.2002 4.04.2003 22.12.2004 1.06.2005 27.12.2005**
VII-VIII-IX-XI-XII-XIII-XIV სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „პედიატრიის აქტუალური საკითხები"

**30.03.99 01.06.2000 01.06.2001 30.05.2002**
„ბავშვთა მკურნალობა XXI საუკუნეში"
სიმპოზიუმი №1 №2 №3 №4 №5 №7 №8 №9

**1.06.2003–1.06.2004**
I-II ინტერნეტ-კონფერენცია (X-XI სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია)

**19.12.2003 02.16.2008 01.06.2012**
საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის II-III-IV კონფერენცია

**22.12.2004; 1.06.2005; 1.01.2006; 22.02.2006; 7.12.2007;**

**2.06.2008; 20.12.2008; 1.06.2009; 1.06.2010; 09.12.2010; 01.06.2011; 23.12.2011; 01.06.2012; 21.12.2012; 01.06.2013; 1.06.2014; 27–28.12.2014; 1.06.2015; 1–6.06.16; 9–10.12.2016; 1–2.06.2017; 08.12.2017; 01.06.2018; 07.12.2018**
სოციალური პედიატრია და ბავშვთა ჯანმრთელობა
სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: XII-XIII-XV-XVI-XVII-XVIII-XIX-XX-XXXVI–XXXIX
საერთაშორისო კონფერენცია: XXI-XXII-XXIII-XXIV-XXV-XXVI-XXVII-XXIX-XXX-XXXI-XXXII-XXXIII-XXXIV-XXXVII-XXXVIII-XXXX

27.12.14; 11.12.15 ინტეგრალური მეცნიერება — ვალეოლოგია და სანოლოგია: I-II
01.06.18; 07.12.18 ახალგაზრდა სპეციალისტთა, რეზიდენტთა და დოქტორანტთა XXII, XXIII

## XXXXI საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

## XXXXI INTENATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

### თბილისი 07.12.2018 TBILISI

(კონფერენცია ჩატარდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატის I სართული სადისერტაციო დარბაზი. ვაჟა-ფშაველას 33 (თბილისი))

**სოციალური პედიატრია და ჯანმრთელობა** SOCIAL PEDIATRY AND CHILD`S HEALTH

**ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის საბჭოს სხდომა**

**XXI საუკუნის პედიატრია-ინვალიდობის პროფილაქტიკის მედიცინად უნდა იქცეს**





# საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულიკონფერენცია მიძღვნილი პროფესორ იოსებ კვაჭაძის 90 წლისთავისადმი








# XXXX

## INTENATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE DEDICATED TO PROF. IOSEF KVACHADZE'S 90TH ANNIVERSARY

**(ახალგაზრდა სპეციალისტთა, რეზიდენტთა და დოქტორანტთა – XXII)**
**(XXII -Young specialists, residents and doctoral candidates)**
**თბილისი 01-02. 06. 2018 TBILISI**
**Euroscience Georgian National Section, Association of Georgian Pediatric Cardiology**
**„ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული"**
**"Children must have right to be defended since embryo"**
**ბავშვთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა მეცნიერების გზით**
**Children's Security Through Science**
**სოციალური პედიატრია და ბავშვთა ჯანმრთელობა**
**Social Pediatry and Child's Health**
**(პრეს-რელიზი)**

2018 წლის 1 ივნისს 15. 00-20. 30 იმუშავა XXXX სამეცნიერო პრაქტიკულმა კონფერენციამ, რომლის ჩატარებაშიც ტრადიციულად მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერების აკადემიის, ორგანიზაცია – International fund the world security and child-ის, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის, სამედიცინო კორპორაცია ევექსის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითთმართველობის და არაერთი სხვა პარტნიორი ორგანიზაცია;

კონფერენციამ იმუშავა პროგრამით:

15. 15 კონფერენციის გახსნა Opening of Conference

1. მისალმებანი Opening Speech
2. „ტრადიცია გრძელდება": მილოცვები-გახსენება – დაჯილდოება "Tradition Continues" – Congratulations – Reminding – Rewarding

კონფერენციაზე წაკითხული იქნა გამოცემული ჟურნალ გაზეთების მსოფლიო არენაზე მკითხველთა სტატისტიკური მონაცემები, რომლითაც ნათლად ჩანდა დინამიკაში მკვეთრი მატება.

კონფერენციაზე ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის პრეზიდიუმის „მადლიერების სიგელი" გადაეცა: – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორის ბ-ონ იოსებ კვაჭაძის ოჯახს.

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის:

– „სიგელი საექიმო თავდადებისათვის" გადაეცათ – ბადურ ზიმლიცკის, ჯონი ჯანაშიას, დავით მუხიგულს, ვანიკო ცხომელიძეს და დავით ცხომელიძეს.

– „სიგელი რჩეული ქართველი" გადაეცა ქალბატონ ელისო ტარასაშვილს.

– „ქების სიგელი" – მაკა ბურჯანაძეს

2018 წლის ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის ნომინაციების გამარჯველნი გახდა:

„ოქრო ბუმბულის" – პროფესორი ბატონი პაატა კერვალიშვილი

„ოქროს სტეტოსკოპის" – პროფესორი ბატონი გურამ რცხილაძე

„ოქროს ლანცეტის" – პროფესორი ბატონი ზურაბ კაკაბაძე

საზოგადოების საინიციატივო ჯგუფის სახელით „2017წლის რჩეული საქართველოში" პროფესორმა დავით ცხომელიძემ დაასახელა და სიგელი სამახსოვრო საჩუქრებით გადასცა პროფეორ გიორგი ჩახუნაშვილს.

კონფერენციის II პლენალური სხდომა მიეძღვნა პროფესორ იოსებ კვაჭაძის 90 წლის იუბილესæაუდიტორიას მიესალმა და პროფესორ იოსებ კვაჭაძის ცხოვრებაზე ისაუბრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ირაკლი კოხრეიძემ და თბილი მოგონებებით გამოვიდნენ:

1. პროფესორ იოსებ კვაჭაძის 90 წლის იუბილე – პროფესორი გ. ჩახუნაშვილი 90th anniversary of Prof. Iosef Kvachadze -Prof. G. Chakhunashvili 2. პროფესორი ნ. უბერი – თავისუფალი გამოსვლა 3. პროფესორი მ. ჟვანია – თავისუფალი გამოსვლა 4. მედ. დოქტ. ნ. შელია „ბავშვთა რევმატოლოგიის კარიბჭეებთან" 5. პროფესორი. მ. ჭიპაშვილი, მედ. დოქტ. მ. წულაია, მედ. დოქტ. ქ. კვაჭაძე „გენეტიკის სათავეებთან"

6. ლ. კომშიაშვილი – „ამიერკავკაციაში ბავშვთა ენდოკრინოლოგიის საწყისი"

7. ასოც. პროფესორი მ. კვეზერელი-კოპაძე „ბატონი იოსები ეძიებდა და ჰპოვებდა – მან ჰემატოლოგიაც იცოდა"

8. მედ. დოქტ. ნ. ბადრიაშვილი, მედ. დოქტ. ლ. ლომთათიძე,თ. კალანდარიშვილი, ნ. გვარჯალაძე, ინ. გურგენიძე „იოსებ კვაჭაძე პიონერი მუკოვისციდოზის, სხვა ზოგიერთი მემკვიდრული და თანდაყოლილი დაავადებების შესწავლაში"

9. ასოც. პროფესორი მ. ჩიქოვქნი, მედ. დოქტ. ნ. თოფურიძე-თავისუფალი გამოსვლა

10. პროფ. ი. კვაჭაძის უკანასკნელი ასპირანტები – ირ. კორინთელი, გ. აბუთიძე „ქლამიდიოზი ბავშვებში – თანამედროვე გამოწვევები".

11. პროფესორი გ. ჩახუნაშვილი

„ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგიის თანამედროვე დიაგნოსტიკური პრობლემები"

Modern diagnostic problems of pediatric cardio-rheumatology.

Prof. G. Chakhunashvili,

კონფერენციაზე შედგა 2017-18-პროექტების ანგარიში. რაც შეეხებაკონფერენციის სამეცნიერო-პრაქტიკულ მიმდინარეობას: ჩატარდა პლენარული სხდომები და რაც მთავარია აღდგა ახალგაზრდა სპეციალისტთა, რეზიდენტთა და დოქტორანტთა-XXII კონფერენცია მასზე წარმოდგენილი მოხსენებებში აქცენტი იყო დასმული და გამახვილებული არამარტო თანამედროვე პედიატრიის აქტუალურ საკითხებზე; როგორც აღვნიშნეთ იმუშავა ოთხმა სხდომამ (www. sppf. info) ყველა სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხისა და დისკუსიების რეჟიმში.









## ტრადიციულად, XXXX კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია

I. რეგულარულად ჩატარდეს ახალგაზრდა სპეციალისტთა, რეზიდენტთა და დოქტორანტთა კონფერენციები.

II. გაზიარებული იქნას წინა კონფერენციებზე მიღებული რეზოლუციები:

1. ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნულმა სექციამ იმუშაოს წინა კონფერენციებზე მიღებული რეზოლუციებით:

ა) 2018-19 წლებში აქტიურად გააგრძელოს თავისი საორგანიზაციო საქმიანობა და 2022 – 4 წლის მსოფლიო ფორუმის საქართველოში ჩასატარებლად ყველა ღონისძიება გაატაროს, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზე.

ბ) ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის სტრატეგიული გეგმა გადიოდეს მასში ახალგაზრდობის მეცნიერებაში ჩართვის მკვეთრი მატებისაკენ და დაევალოს ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციისახალგაზრდულ დეპარტმენტს მეტად განახორციელოს აქტიური მუშაობა შემუშავებული გრძელვადიანი გეგმის მიხედვით



2. 2019 წელს მომზადდეს და ჩატარდეს საქართველოს ექთანთა IV კონფერენცია.

3. გაზეთის „სოციალური პედიატრია" და ჟურნალების „სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრიის" და „ბავშვთა კარდიოლოგიის" ახალი ნომრების www. sppf. info-ის **და** www. esgns. org ვებ. გვერდზე განთავსებისა და მათგან რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების სტრატეგიის გააქტივება.

4. 2019-20 წწ-ში მეტად გააქტიურდეს მედიცინის, სპორტისა და განათლების ერთიანი მეცნიერული მართვისათვის განსახორციელებელიშესაბამისი ღონისძიებანი-ვალეოლოგიის ფარგლებში.

5. 2019-20წწ-ში განხორციელდეს ინტენსიურად პედიატრთა პროფესიული გადამზადების მონიტორინგი

6. მეტი ინტენსიობით წარიმართოს მუშაობა პროექტების: – „საქართველო მშიერი ბავშვის გარეშე". Georgia Without Hungry Children – „ინტეგრალური მეცნიერებათა ვალეოლოგია და სანოლოგია, როგორც XXI საუკუნის გამოწვევა" – „საქართველოში „GGMC"-ის და „GGMG"-ის აუცილებლობაა" – „პოდიატრია ვალეოლოგიის ერთ-ერთი ფუნდამენტია" „Podiatry valeology one of the fundament – „მოძრაობა უარი აბორტს" საქართველოში სათანადოდ განხორციელებისათვის.

8. გაგრძელდეს საქართველოში მედიცინის დარგში „ბრწყინვალების ვარსკვლავის", „ოქროს სტეტოსკოპის", „ოქროს ლანცეტის", „ღირსეული მედიკის" და მეცნიერებაში „ოქროს ბუმბულის" მიმნიჭებელიი მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობა და დასახელდეს მფლობელები 2019 წლის 1 ივნისისათვის XXXXII კონფერენციაზე.

კონფერენციაზე დარიგდა: – გაზეთი „სოციალური პედიატრია" და ჟურნალები – „ბავშვთა კარდიოლოგია", „სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია" – დისკზე ჩაწერილი ლექციები.

კონფერენციის ფარგლებში, მედიცინის სხვადასხვა დარგის აღიარებულმა კლინიცისტებმა ათობით პატარა პაციენტი უფასოდ. გასინჯეს თბილისში. გაისინჯა 200-ზე მეტი ბავშვი (მათ შორის მრავალშვილიან დედებს, სტუდენტთა ბავშვებს გადაეცათ უფასოდ ბავშვთა კვება და ჰიგიენის საშუალებანი).

კონფერენციის ინტერნეტ-ვერსია Electronic Version

www. sppf. info, www. esgns. orge-mail: info@sppf. info

კონფერენციაზე დარიგდება:

– გაზეთი „სოციალური პედიატრია" და ჟურნალები –„ბავშვთა კარდიოლოგია", „სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია"

Participants will receive – "Social Pediatrics" newspaper. Also, magazines – "Pediatric Cardiology", "Social, Ecological and Clinical Pediatrics".

დიდი მადლობა კონფერენციის ყველა აქტიურ მონაწილეს.

## Statistics Total Visits

სოციალური და ეკოლოგიური პედიატრია

Views 283

### Total Visits per Month

| May 2018 | June 2018 | July 2018 | August 2018 | September 2018 | October 2018 | November 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 15 | 6 | 15 | 6 | 2 | 0 |

### Top Country Views

| | Views |
|---|---|
| France | 98 |
| United States | 39 |
| Georgia | 33 |
| Canada | 16 |
| China | 14 |
| Senegal | 8 |
| Ukraine | 6 |
| United Kingdom | 5 |
| Côte d'Ivoire | 3 |
| Russia | 3 |

### Top City Views

| | Views |
|---|---|
| Ashburn | 24 |
| Montréal | 16 |
| Beijing | 6 |
| Houston | 6 |
| Abidjan | 3 |
| Tbilisi | 3 |
| Ann Arbor | 2 |
| Austin | 2 |
| Cambridge | 2 |
| Mountain View | 2 |

## Statistics Total Visits

ბავშვთა კარდიოლოგია

Views 161

### Total Visits per Month

| May 2018 | June 2018 | July 2018 | August 2018 | September 2018 | October 2018 | November 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 6 | 2 | 9 | 1 | 1 | 1 |

### Top Country Views

| | Views |
|---|---|
| Georgia | 49 |
| United States | 34 |
| Senegal | 8 |
| China | 6 |
| France | 6 |
| Russia | 5 |
| United Kingdom | 4 |
| Ukraine | 4 |
| Canada | 3 |
| EU | 3 |

### Top City Views

| | Views |
|---|---|
| Ashburn | 18 |
| Houston | 6 |
| Beijing | 5 |
| Tbilisi | 4 |
| Montréal | 3 |
| Saint Petersburg | 3 |
| Abidjan | 2 |
| Ann Arbor | 2 |
| Austin | 2 |
| Cambridge | 2 |

## Statistics Total Visits

საქართველოს სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია

Views 134

### Total Visits per Month

| May 2018 | June 2018 | July 2018 | August 2018 | September 2018 | October 2018 | November 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 6 | 2 | 6 | 1 | 0 | 0 |

### Top Country Views

| | Views |
|---|---|
| United States | 26 |
| Georgia | 24 |
| China | 11 |
| Senegal | 6 |
| France | 4 |
| Canada | 3 |
| United Kingdom | 3 |
| Côte d'Ivoire | 2 |
| Russia | 2 |
| EU | 1 |

### Top City Views

| | Views |
|---|---|
| Ashburn | 16 |
| Beijing | 10 |
| Houston | 5 |
| Tbilisi | 4 |
| Montréal | 3 |
| Abidjan | 2 |
| Austin | 2 |
| Cambridge | 2 |
| Roubaix | 2 |
| Borjomi | 1 |

## ახალგაზრდათა კონფერენცია აღდგა - XXII (01.06.18)
















## ახალგაზრდა პედიატრთა ასოციაცია (აპა) გააქტიურდა











# GEORGIAN NATIONAL SECTION OF EUROSCIENCE
# ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია

### ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია აქტიურდება

2018 წელი ნაყოფიერად იმუშავა საქართველოს დარგობრივმა აკადემიებმა

რედაქცია ულოცავს 2019 წლის დადგომას და უსურვებს ნაყოფიერ შემოქმედებას საქართველოს უკეთესი მომავლისათვის



### საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია
### GEORGIAN ACADEMY OF NATURAL SCIENCES 2014

*პრეზიდენტი პაატა კერვალიშვილი*



### დისკუსია აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე







### 04.08.2018 – ქუთაისი-მემორანდუმი

შედგა „GGMC“-ის 2018-20 წწ სამოქმედო სტრატეგიული გეგმის“ ერთერთი საფეხურის განხორციელების დასაწყისი-გაფორმდა მემორანდუმი, რომელსაც ხელს აწერს:



– გერმანულ-ქართული სამედიციმო ცენრის დირექტორი – ჰარალდ ჯაკობსონი (გერმანია)

– სამედიცინო ცენტრის – „მედიქალ სითის“ დირექტორი გია გრძელიძე (საქართველო, ქ. ქუთაისი).

– და ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის პრეზიდენტი გიორგი ჩახუნაშვილი

წარმატება ვუსურვოთ ამ პერსპექტიულ ურთიერთობას.

### 04.08.2018 – KUTAISI MEMORANDUM

Cooperation memorandum was signed by GGMC director – Harald Jacobsen, “Medical City” director – Gia Grdzelidze and Chariman of Euroscience Georgian National Section President – George Chakhunashvili. Let’s wish for a fruitful partnership.

**2018 წელს ბატონ ანდრო გედაძის დიდი გულისხმევით Va Med-ის დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა. შედგა მაღალი რანგის შეხვედრები.**

**წარმატებები ვუსურვოთ მათ პერსპექტიულ გეგმებს სამედიცინო დიპლომის შემდგომ სწავლებაში.**

In 2018 by the tremendous effort of Andro Gedadze Va Med delegation arrived to Tbilisi, high level meetings were held and there is a chance to implement new post-educational teaching in Georgia.







## სტუმარი ავსტრიიდან
**18. 10. 2018**

ამა წლის 18 ოქტომბერს, საქართველოს ეწვია მსოფლიოში ცნობილი მანუალური თერაპევტი, ბატონი დიმიტრი ლამბოვი. ის ცხოვრობს და მოღვაწეობს ავსტრიაში,ქ. ლინცში. ბატონი დიმიტრი ლამბოვი მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლია და საქართველოში ის ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის ეპისკოპოს ლაზარეს (სამადბეგაშვილის) მოპატიჟებით ჩამობრძანდა სერბელ მართლმადიდებელ მორწმუნეებთან ერთად. ბატონი დიმიტრი ლამბოვი მსოფლიოს სხს ქვეყანაში მოგზაურობს და კურნავს უკურნებელი სენით დაავადებულ პაციენტებს. მიუხედავად თავისი ზებუნებრივი ნიჭისა, ბატონი დიმიტრი ძალიან თავმდაბალი ადამიანია, რაც მის სულგრძელობაზე კიდევ ერთხელ მეტყველებს. 40 წელზე მეტია რაც ბატონი დიმიტრი ლამბოვი მანუალურ მედიცინას ფლობს და კურნავს ხერხემლის პათოლოგიებს, რის დიაგნოსტიკასაც ის ირიდო დიაგნოსტირების (თვალის ფერადი გარსიდან) საშუალებით ახდენს. ეს არის ალტერნატიული მედიცინა, რისი საშუალებითაც ბატონი დიმიტრი უამრავ გაჭირვებულ ადამიანს ეხმარება და სიცოცხლის ხალისს უბრუნებს.

კითხვაზე, თუ რა მისიით ჩამობრძანდა საქართველოში, ბატონი დიმიტრი გვპასუხობს: რომ სურს მოილოცოს მონასტრები და წმინდა ნაწილები, რომ ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს სულიერად და საქართველოს სიწმინდეების ლოცვა-მადლი თავის სამშობლოში, თავის ქვეყანაში, თავის მეგობრებთან, ოჯახში და ბავშვებთან წაიყოლოს, რომ კიდევ ბევრი სიკეთე აკეთოს.

ბატონი დიმიტრი ლამბოვი პირველად არ არის საქართველოში, ის აღნიშნავს რომ ძალიან უყვარს საქართველო და ქართველი ხალხი და რომ ბევრი კარგი მეგობარი ყავს საქართველოდან.

**P.S** დღეს,ერთ-ერთი ასეთი მეგობარი, რომელიც შეეგება ბატონ დიმიტრი ლამბოვს, არის ბატონი ანდრო გედაძე. ბატონი ანდრო, თავის ლამაზ ოჯახთან ერთად, შემოდგომისეული სიტკბოებით შეეგება ჩამოსულ სტუმრებს და ჯერ აეროპორტიდან არ გასული, უკვე საქართველოზე შეყვარებული დატოვა ყველა. ბატონი ანდრო გედაძე არის ადამიანი, რომელიც მრავალი წელია ვენაში ცხოვრობს, ყოველთვის და ყველგან ქართული კულტურის პოპულარიზაციას ეწევა და მომავალ თაობაში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს.

**P.S.** უფალი წყალობდეს ბატონ დიმიტრის და ბატონ ანდროს, თავიანთ ოჯახებთან ერთად მრავალჟამიერ. „სიკეთე სიკეთეს შობს, მადლი მადლს ამრავლებს“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II







*ჟურნალი „სოციალური პედიატრია“ კორესპონდენტი: ლელა ხუციძე*

### A GUEST FROM AUSTRIA

In 2018 Dimitri Lambov arrived to Georgia by the invitation of archbishop of Borjomi and Bakuriani eparchy. He has been healing people with his supernatural talent.

## ახაგაზრდული ფრთა საერთაშორისო, ადგილობრივ ფორუმებზე და კვლევით ლაბორატორიებში
## YOUNG GENERATION IN RESEARCH LABS AND ON INTERNATIONAL & LOCAL FORUMS

### ახალგაზრდა პედიატრთა ასოციაცია აქტიურია



(აპა) - 2017-18



### USING THREE-DIMENSIONAL SCAFFOLD FROM DECELLULARIZED HUMAN UMBILICAL ARTERY FOR BILE DUCT RECONSTRUCTION

*Konstantine Chakhunashvili*, Merab Kiladze**, David G. Chakhunashvili*, Lia aralashvili*, Zurab Kakabadze**



საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF HUMANITARIAN AND ARTES SCIENCES



პრეზიდენტი დემურ ბაშელეიშვილი
*president DEMUR BASHELEISHVILI*

# „სიბრძნე სიცრუის ტირაჟირება თანამედროვე ჯანდაცვის სისტემაში“

თუ გადავხედავთ ქართველი მწერლის, მეცნიერის, პოლიტიკური მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის ნაშრომს „სიბრძნე სიცრუისა“, ვნახავთ რომ, ის, ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში გვასწავლიდა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა, როგორი უნდა იყოს მისი ყოველდღიური ცხოვრება, რას წარმოადგენს სიმართალე ან უსამართლობა, ვის რა ევალება და ასე შემდეგ. შესანიშნავმა იგავთმწერმა, რომელიც კარგად იცნობდა ადამიანის ბუნებას, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შეადგინა იგავ-არაკების კრებული „სიბრძნე სიცრუისა“, რომელშიც შეზავებულია ეროვნული იუმორი და კოლორიტი. ორბელიანი ქადაგებდა სწავლა-აღზრდის დემოკრატიულ პრინციპებს, რომლის საფუძველს წარმოადგენდა შრომა, გონებრივი და ფიზიკური გაწვრთნილობა. აკრიტიკებდა ცხოვრების მანკიერ მხარეებს, ზნეობრივ და სულიერ დაცემულობას.

თავის წიგნში საბა ორბელიანს შესაძლოა უნდოდა ეთქვა „მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს კი გამცნებო. სიცრუე თვითონ ამბავია, სიბრძნე – შიგ ჩასახული აზრია.“ ერთი კლასიკოსი მწერლის გამონათქვამისა არ იყოს, სიცრუე ადამიანის ერთადერთი უპირატესობაა სხვა ცხოველებთან შედარებით, სიცრუით იწყება გზა სიმართლემდეო! სიცრუე (დიდი თუ მცირე ტყუილი), დემაგოგია (როგორც მოტყუების ილეთი), ორმაგი სტანდარტები და ორპირობა (როგორც მოტყუების ხერხი), ჩვენ თვითონვე ვაქციეთ ცხოვრების წესად. ამიტომაც, ხშირ შემთხვევაში, საუბრის დროს ვერ ვუყურებთ ერთმანეთს თვალებში.

ვალეოლოგია, როგორც ვიცით წარმოადგენს მეცნიერებას ადამიანის ჯანმრთელობის შესახებ, რომელიც თავისი არსით დაფუძნებულია პიროვნების ასაკობრივ ანატომიაზე, ფიზიოლოგიაზე, ფსიქოსომატური განვითარების მექანიზმებზე, ონტოგენეზში ინდივიდის ფსიქოფიზიოლოგიური ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე. პრაქტიკული მნიშვნელობით კიმიეკუთვნება განათლებისა და მეცნიერული მოღვაწეობის მიზანმიმართულ დარგს, რომლის დანიშნულებაა ინდივიდის ჯანმრთელობის შენარჩუნების კულტურის ფორმირება. ვალეოლოგიური აზროვნებისა და შესაბამისი განათლების შესაძენად საჭიროა შემდეგი დარგების ცოდნის ერთმთლიანობაში ინტეგრირება, როგორიცაა:

1. – მორფოლოგია (ჯანმრთელობის ანატომია),

2. – ჯანმრთელობის ფიზიოლოგია,

3. – ჯანმრთელობის გენეტიკა.

4. – ინდივიდის უწყვეტი ვალეოლოგიური განათლება და აღზრდა,

5. – ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირება.

სიბრძნედ უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ აღინიშნოს – არც ერთი მეცნიერება არ წარმოშობილა ცარიელ ადგილზე. ნებისმიერი ახალი მეცნიერების ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა სხვა სამეცნიერო დარგების თეორიულ-პრაქტიკული გამოცდილება. ამის გათვალისწინებით, უნდა ვიფიქროთ იმაზეც, რომ მეცნიერება ჯანმრთელობაზე წარმოიშვა ინტეგრირების გზით – მედიცინის, ეკოლოგიის, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის და სხვა მეცნიერებათა ცოდნის გასაყარზე. ისმის კითხვა: რას გვაძლევს ჩვენ ვალეოლოგიის სხვადასხვა მიმართულებები ?

ვალეოლოგია თავისი არსით წარმოადგენს დარგობრივ მეცნიერებათაშორისო მიმართულების დარგს, რომელიც შეისწავლის ადამიანის ჯანმრთელობას, მისი უზრუნველყოფის გზებს, ფორმირებასა და შენარჩუნებას ცხოველმოქმედების კონკრეტულ სიტუაციაში.

ვალეოლოგია პრინციპულად განსხვავდება სხვა დარგობრივ მეცნიერებათა ფუნქციური დატვირთვისაგან, რომლებიც შეისწავლის ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას, კერძოდ ვალეოლოგიის ინტერესებშია ჯანმრთელობა და ჯანმრთელი ადამიანი, მედიცინაში დაავადება და ავადმყოფი, ხოლო ჰიგიენაში– ადამიანის საცხოვრებელი გარემოსა და ცხოველმოქმედების პირობები. აქედან გამომდინარეობს ის არსებითი განსხვავებები, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა მეცნიერებათა სფეროში საგნის, მეთოდის, ობიექტის შესწავლასა და დასახული მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ვალეოლოგიური განათლება იხვეწება სხვა სამეცნიერო და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების აქტიური მონაწილეობით, კერძოდ:

– ფიზიოლოგია შეისწავლის სხეულის ორგანოებისა და სისტემების ფუნქციონირების მდგომარეობასა და ჰომეოსტაზის შენარჩუნების მექანიზმებს. გარდა ამისა, საშუალებას იძლევა გამოვიკვლიოთ ორგანიზმის ადაპტაციის რეზერვები წლოვანების, სქესის და ა.შ. არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენის მიზნით.

პროფილაქტიკური მედიცინა იძლევა ინფორმაციას ორგანიზმზე გამაჯანსაღებელი მეთოდების ზემოქმედების ეფექტურობის შესახებ.

ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობას (ფსიქო-ემოციურ, ინტელექტუალურ, პიროვნულ თვისებებს)

სოციოლოგია იკვლევს ჯანმრთელობის სოციალურ კომპონენტებს, შეისწავლის ადამიანის სოციალურ გარემოს, როგორც ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორს.

პედაგოგიკა ახორციელებს სწავლების ტექნოლოგიურ კვლევებს, ცოდნის შეძენის ინდივიდუალობისა და დიფერენცირების ჩატარების თვალსაზრისით, ქმნის ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირების მოტივაციას.

ეკოლოგია შეისწავლის ადამიანის ჯანმრთელობაზე გარეთა გარემოს ზემოქმედებას.

პოლიტოლოგია განსაზღვრავს სახელმწიფოს როლს, სტრატეგიასა და ტაქტიკას საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში და ფორმირებაში.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჯანმრთელობის პრობლემა განუყოფელია ადამიანის პრობლემისაგან, ის წარმოიშობა ადამიანთან ერთად და სახეს იცვლის შესაბამისად საზოგადოებრივი კულტურის განვითარების დონესთან.

ვალეოლოგიას საკუთარი მიზნებითა და ამოცანებით გააჩნია განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობა, რადგან სახელმწიფოს მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს თავის მოქალაქეებზე ზრუნვა. თუ გერმანელი ფილოსოფოსი ლ. ფეირბახი თვლიდა, რომ „ადამიანი, ბუნებასთან ჩათვლით არის ფილოსოფიის ერთადერთი, უნივერსალური ბაზისი და უმაღლესი საგანი“, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ სახელმწიფოს უმაღლესი საგანი უნდა იყოს ადამიანის კეთილდღეობა.

ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა ჩამონათვალში, რომლის დროსაც განისაზღვრებოდა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, რასაკვირველია, პრიორიტეტული იყო ჯანმრთელობა. სწორედ, ასე იყო ძველ საბერძნეთში, სადაც სხეულის კულტი აყვანილი იყო სახელმწიფოებრივი კანონების დონეზე, ხოლო ძველ სპარტაში ფიზიკური ვარჯიშებით მეცადინეობა დაწესებული იყო სახელმწიფოს მიერ და ყველა მოქალაქე მკაცრად კონტროლდებოდა – მათი ჯანმრთელობის მაღალი დონის მიღწევის მიზნით. ეს წესი მრავალი ათეული და ასეული წლები ეტალონად რჩებოდა მომდევნო თაობებისთვის. აქვე მნიშვნელოვანია ვალეოლოგიის პიონერის იზრაილბრეხმანის შეხედულება, რომელიც წერდა: „სწორედ ჯანმრთელი ადამიანები უნდა იყოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სიმწიფის, კულტურისა და წარმატებების მთავარი „სავიზიტო ბარათი“.

ჯანსაღი ცხოვრების წესი დღეს ძალიან მოდური თემაა, თუმცა რეალურად ეს მხოლოდ თემაა და არაფერი სხვა, მოჩვენებითი რეალობის შექმნა და ამ რეალობით ტკბობაა. დღევანდელ სამყაროში ჯანმრთელობა ყველაფერია, რადგან ადამიანზე მრავალი გარემოებები მოქმედებს: დაბინძურებული ჰაერი, გენმოდიფიცირებული საკვები, სტრესული სიტუაციები და მრავალი რამ.

საქართველოში მაინც რთულია მისდიო ჯანსაღი ცხოვრების წესს, რადგან საზოგადოების ავანგარდში აღმოვჩნდებით ხოლმე. ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა ადამიანის პირველადი ნებაა და შემდეგ ამ ნების განხორციელება. არც ისე რთულია სიგარეტზე, გენმოდიფიცირებულ საკვებზე, ალკოჰოლზე და გადაჭარბებულ ტკბილეულზე უარის თქმა. მაგრამ უფრო მეტად რთულია ადამიანის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის შენარჩუნება.

სამყარომ ადამიანი ჯანმრთელობის სიკეთით დაასაჩუქრა, რაც მან დედამიწაზე უნდა შეინარჩუნოს ჯანსაღი ცხოვრების წესის გატარებით. ჩვენ ადამიანებს, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჯანმრთელობა მუდმივ საკუთრებაში არ გვეძლევა. ის ჩვენგან მოითხოვს ფაქიზ მოპყრობასა და ყოველდღიურ მზრუნველობას. ადამიანის სიცოცხლე გადის ორ ნაპირზე „ჯანმრთელობასა და ავადმყოფობას „შორის. ამის გარდა, მეცნიერები მიანიშნებენ „მესამე მდგომარეობაზეც“, როცა ადამიანი თითქოსდა ჯანმრთელად გამოიყურება და შრომის უნარიანია, მაგრამ ამასთან აღენიშნება დაავადებისათვის დამახასიათებელი მცირედ გამოხატული კლინიკური ნიშნები, რაც ხშირად უყურადღებოდ რჩება. ასეთი მდგომარეობა მიჩნეულია დაავადების წინა პერიოდად, რაც 80 პროცენტში დედამიწაზე მცხოვრებ მოსახლეობას აღენიშნება. პრაქტიკოს-ექიმებს ხშირად აზრადაც არ მოუვათ „ადამიანის მესამე მდგომარეობის“ არსებობაზე, რადგან არ გააჩნიათ ამ მხრივ საკმარისი თეორიულ-პრაქტიკული ცოდნა და შესაბამისი გამოცდილება. რაც შეეხება ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის ჩატარებულ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, ისინი დღემდე ლოზუნგის დონეზე რჩება. ადამიანი თავის ჯანმრთელობას ძნელად თუ ინარჩუნებს, რადგან მის სიცოცხლეს მრავალი მტერი ემუქრება. ეს იქნება ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორები, ვირუსულ-მიკრობული აგრესია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირე, მავნე ჩვევები (ნარკოტიკები, თამბაქო, ალკოჰოლი), თანამედროვე ცხოვრების ფსიქიური დაძაბულობა, ემოციური გადატვირთვა და ა. შ. აქედან გამომდინარე, ადამიანის ორგანიზმი მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყოს, რათა დროულად აიცილოს მოსალოდნელი „აგრესორების“ თავდასხმა“ და მათგან გამოწვეული „გართულებები“. შეძლოს შეინარჩუნოს ორგანიზმის წონასწორობა გარეთა გარემოსთან მიმართებაში ფიზიოლოგიური პროცესების ოპტიმალური წარმართვის მიზნით.

ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის ფორმირებაში, მის შენარჩუნებაში დაგანმტკიცებაში დიდი როლი ენიჭება მედიცინის მეცნიერული ცოდნისა და დახვეწილი პრაქტიკის განვითარებას, ჯანდაცვის სოციალური სისტემის პროფესიულ დონეზე ორგანიზებას, რომელთა ზღვარზე მიმდინარეობს სიბრძნე-სიცრუის ტირაჟირება.

მიუხედავად იმისა, რომ კლასიკურმა სახელმწიფოებრივმა მედიცინამ და ნაწილობრივად ჯანდაცვის სისტემამ მიაღწია გარკვეულ წარმატებებს თავიანთ სფეროში, ვერაფერი გააკეთეს ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემის გადაწყვეტაში. რაც უფრო მეტად ვითარდება მედიცინა, მით უფრო მეტად იზრდება დღემდე უცნობი დაავადებათა რიცხვი. პრაქტიკოსი ექიმების მიერ დასმულმა დიაგნოზებმა გადააჭარბა 23 ათასს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ჩვენგანს საშუალოდ უნდა ჰქონდეს 20-ზე მეტი დაავადება, რასაც უნდა დაემატოს ვიწრო სპეციალისტების მიერ დასმული დიაგნოზების რაოდენობაც. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ადამიანი უნდა ცდილობდეს დაიცვას ჯანმრთელი ცხოვრების წესი და ექიმ-ვალეოლოგებმა ( მომავლის სპეციალისტებმა) მიზნობრივადშეისწავლოსპრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანების დაცვით-კომპენსატორული მექანიზმების დროული ამოქმედების თავისებურებანი არსებული სიჯანსაღის შესანარჩუნებლად.

ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე გაუთავებელი რეფორმები ადამიანის ჯანმრთელობის კი არ ემსხურება, არამედ ხელს უწყობს ავადმყოფთა რაოდენობის ზრდასა და დემოგრაფიული ვითარების გაუარესებას, ჯანდაცვის სისტემასა და სააფთიაქო ქსელში ავადმყოფთა ხარჯზე ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას. ამას ისიც ემატება, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ძირითადში გადატანილია კერძო სტრუქტურებში, რომელიც არავითარ სახელმწიფოებრივ კონტროლს არ ექვემდებარება. ჯანდაცვის სამინიტრო პასუხს არაფერზე არ აგებს, მისი ინტერესი კი გახდა ავადმყოფთა რაოდენობის პროგრესული ზრდა, რომელსაც ამ სოციალურ სისტემაში უზარმაზარი თანხა შემოაქვს და ილექება კლინიკების მეპატრონეების ჯიბეებში, ხალხი კი – უფრო მეტად გაღარიბდა.

სახელმწიფოებრივმა ჯანდაცვამ ვერ გაამართლა მოსახლეობის იმე-

*გაგრძელება მე-11 გვ.*



*1997 ბლედის ტბა შეხვედრა ჟაკ დელორთან (ევროკავშირის პრეზიდენტი)*



*ევროკომიის სამეცნიერო დირექტორატში გამოსვლის შემდეგ, 2010*



*ფერარას უნივერსიტეტი 2016 ლექციის შემდეგ. პროფ. ფრანჩესკო პედრიელი*

ბავშვთა ახალი კლინიკა
247 04 01 CHILDREN'S NEW CLINIC

# ქველმოქმედება CHARITY ACTIVITIES

ჩვენს მიერ საქველმოქმედო აქციებში გაისინჯა 1980 წლიდან – დღემდე 227 295 ბავშვი. საქველმოქმედო აქციები გრძელდება.

FROM 1980 UNTIL TODAY WE PROVIDED FREE EXAMINATIONS FOR 227 295 CHILDREN. CHARITY EVENTS ARE GOING TO CONTINUE.

**სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საქართველოს საპატრიარქოს თანადგომით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში: ზუგდიდი, ხულო, ხელვაჩაური, ქედა, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ინგირი, მარნეულის, ლენტეხის, დმანისის რაიონებში – ჩატარდა საქველმოქმედო აქციები, სადაც გაისინჯა, შესაბამისი კვალიფიციური სამედიცინო კონსულტაცია გაეწია და მედიკამენტები დაურიგდა 5600 ბავშვს და 1000-ზე მეტ მოზარდს** – 2000-2005 წწ.



საქველმოქმედო აქცია ლენტეხში 10.X.2005წ



გაისინჯა 2006 წლის 20 მაისს ჩატარდა საგურამოს ასტომით დაავადებულ ბავშვთა პანსიონატის 28 ბავშვს. 9-10 ივნისს კასპში ივანე ჯავახიშვილის 110 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში გაისინჯა 250-მდე ბავშვი. ოქტომბერ-ნოემბრის თვეში თსსუ გ.ჟვანიას პედიატრიულ კლინიკაში მოწყობილ აქციებში (ღია კარის დღეები: მხატვართა კავშირის, ვეტერანთა დეპარტამენტის, პრესისა და ტელევიზიის თანამშრომელთა ბავშვები) გაისინჯა 700-მდე ბავშვი.



2006 წლის 1 ივლისს, ცხინვალის რეგიონში გაისინჯა და შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია 500-მდე ბავშვს.



საქველმოქმედო აქცია ყვარელში, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი მწერლისა საზოგადო მოღვაწის საქართველოს სულიერი მამის, ილია ჭავჭავაძის დაბადების 170 წლისთავს. 9.06.2007



## საქველმოქმედო აქციები მარნეულში, დუშეთში და ახაშენში





თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე 2008 წლის 2 ივნისს მოეწყო ბავშვთა კარავი (Teddy Veuz Hospital), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა

## საქველმოქმედო აქცია რუსთავსა და სამტრედიაში





## საქველმოქმედო აქცია ქაქუცობა 2008



## საქველმოქმედო აქცია ხაშურში 2009



## საქველმოქმედო აქცია ბარისახო 2009



## საქველმოქმედო აქცია კალათბურთელების გასინჯვა 2010



## საქველმოქმედო აქცია ომის მონაწილეთა ოჯახებისა და წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სკოლა პანსიონის ბავშვები (დეკანოზი მირიან სამხარაძე) გასინჯვა 2010





### საქველმოქმედო აქცია კარალეთი 2010



### 2010 წლის ღია კარის დღე 04.XII სპორცმენებთან





### 2011 წლის 1 ივნისს

კონფერენციის ორგანიზატორებსა და აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით ბავშვთა დაცვის დღეს მიეძღვნა ბავშვთა საქველმოქმედო კონსულტაციები, რომელიც ჩატარდა ბავშვთა ახალ კლინიკაში და გაისინჯა 200-მდე ბავშვი.აგრეთვე მოეწყო აფხაზეთიდან აფხაზ ბავშვთა ნამუშევრების ნახატების გამოფენა და მათ გადაეცათ სერტიფიკატები.

### 2011 წლის 1 ივნისს





### საქველმოქმედო აქცია 24.12.2011. ბავშვთა ახალ კლინიკაში (გაისინჯა 200-ზე მეტი ბავშვი)





### 01.06.12. თბილისი





### 27.07.12. თელავი



### 11.08.12. კარალეთი





**01.06.13.** ბავშვთა დაცვის დღეს აფხაზეთის ჯანდაცვის ერთობლივი აქცია ირ.ციციშვილის სახ. ბავშვთა კლინიკაში – გაიცინჯა 250-ზე მეტი ბავშვი.

### 01.06.13. აქცია აჭარაში



## 2013 წლის 1 ივნისის აქციაში მონაწილეობდა:

**თბილისი** – ირ. ციციშვილის სახ. ბავშვთა ახალი კლინიკა, პედიატრიის ინცტიტუტი, სადიაგნოსტიკო ცენტრი 444, კარდიოლოგიის ინსტიტუტი შ.პ.ს. „კიდმედი". **აჭარის რეგიონი 1.** სს „ბათუმის რეფერალური საავადმყოფო" 2. შპს ჯანმრთელობის ცენტრი „მედინა", 3. შპს „ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა"4. შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრი". 5. შპს „ქ. ბათუმის №4 პოლიკლინიკა". 6. შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი" 7. შპს „მახინჯაურის მრავალპროფილური პოლიკლინიკა" **გორი**–შ.პ.ს."გორმედი, საქ.საზ. "იავნანა" გორის დედათა და ბავშვთა ცენტრი **თელავი** – ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი **ქუთაისი** ინტერვენციულ ცენტრში უპასო მიღება 31-ში მთელი დღე მხოლოდ ინვალიდ და მიუსაფარ ბავშვებისათვის. 01.06.13-ში ქუთაისის თითქმის კველა პოლიკლინიკა 1. ქ. ქუთაისის ზ.ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი2ქ.ქუთაისის 1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი 3ქ.ქუთაისის შ.პ.ს. „გ.გ". სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი. აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტრო.

აქციებში გაიცინჯა 1300-ზე მეტი ბავშვი

### 02.06.13. ბავშვთა დაცვის დღეს შ.პ.ს."კიდმედში" ერთობლივი აქციით 300-ზე მეტი ბავშვი გაისინჯა





**საქველმოქმედო აქციებში აქტიურადაა ჩართული სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის ა.შ.შ.-ში წარმომადგენელი – ვანიკო ცხომელიძე**

**SPPF representative in The US – Vaniko Tskhomelidze is actively involved in the charity events of the organization**



### უფასო გასინჯვები
### FREE MEDICAL EXAMINATIONS
### 19-20-21.-XII, 2013 10:00-14:00

(თბილისი - (პროფილაქტიკური გასინჯვები – სპორტსკოლა (მძლეოსნებისათვის), №21 პოლიკლინიკა (დიღომი)), სპორტსკოლა (კალათბურთელებისათვის)











## 2014 წელი ივლისი







21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეა. დაუნის სინდრომს და აუტიზმს მიეძღვნა კონფერენცია, რომელიც სასტუმრო „სიმპატია"-ში ჩატარდა,ხოლო უცხოელი კოლეგების უშუალო მონაწილეობით სკოლა – სამინარი მშობლაბთან წარმატებით წარიმართა ირ. ციციშვილის სახ. „ბავშვთა ახალ კლინიკაში". კაფორმდა მემორანდუმი სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდს, „მზის შვილებსა" და უცხოელ სპეციალისტებს შორის შემდგომი მჭიდრო ურთიერთობის გასაგრძელებლად. გთავაზობთ მოკლე ფოტოკოლაჟს.



## 2015წ. 8 თებერვალი. თბილისი. „KINDER CARE"- ღია კარის დღეზე გაისინჯა 50-ზე მეტი ბავშვი



2015 წლის 16 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის №1 სტომატოლოგიურმა კლინიკამ, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული აქციის ჩარჩოებში, უმასპინძლა ბავშვთა ასაკის 14 შშმ პირს ქალაქ ზუგდიდიდან. პაციენტებს, კლინიკის ექიმებმა შეუფასეს პირის ღრუს მდგომარეობა და ჩაუტარეს საჭირო ქირურგიული და თერაპიული სამკურნალო სტომატოლოგიური სამუშაოები. აქცია გაშუქებულ იქნა 2 ქართული სატელევიზიო არხის მიერ. ნორჩი პაციენტები და მათი მშობლები დიდად კმაყოფილები დარჩნენ გაწეული ჰუმანიტარული დახმარებით. მსგავსი ტიპის აქციებს, ტრადიციულად, კლინიკა მომავალშიც მრავლად განახორციელებს.ბატონი დავით ხვედელიანის ინფორმაცია მისასალმებელია და მისაბაძია.დიდი მადლობა პედიატრების სახელით.ჩვენი კონფერენციის ორი „ქების სიგელი" თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის №1 სტომატოლოგიურმა კლინიკამ ღირსეულად დაიმსახურა.გილოცავთ ბატონო დავით.

## უფასო გასინჯვები 30.05.2015 11:00-15:00

ბავშვთა დაცვის საერთასორისო დღისადმი მიძღვნილი ღია კარის დღე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ჰემოფილიით დაავადებულ და აფხაზეთიდან დევნილ ბავშვთათვის, (აფხაზეთის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქველმოქმედო ფონდი „თამარიონის" და კოალაცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის თანადგომით).



ირ.ციციშვილის სახ. ბავშვთა ახალი კლინიკა (თბილისი, ლუბლიანას ქ 21) – გაისინჯა 200-ზე მეტი ბავშვი.



## 2015 წელი

**ირ.ციციშვილის სახელობის "ბავშვთა ახალი კლინიკამ და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდთან ერთად" ჩხოროწყუს რამოდენიმე სოფელში პაციენტების უფასო გასინჯვები გამართა**

5 და 6 დეკემბერს ,,ი.ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკის" სხვადახვა პროფილის პედიატრები ჩხოროწყუს და მიმდებარე სოფლების მოსახლეობას უფასო კონსულტაციები ჩაუტარდა. 20-მდე სხვადასხვა პროფილის ექიმმა (კერძოდ, ბავშვთა-ქირურგის, პედიატრის, ნევროლოგის, ტრავმატოლოგის, ოფთალმოლოგის, ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგის პროფილით). ორი დღის განმავლობაში 1300-ზე მეტი პაციენტს ჩაუტარა კონსულთაცია. საჭიროების შემთხვევაში მძიმე პაციენტებს შესაბამისი მკურნალობა და გამოკვლევები თბილისში "ბავშვთა ახალ კლინიკაში" გაუგრძელდათ.ჩატარდა ექიმებისათვის ლექციებიც.

## 2015-2016 წელი

## პროექტი: „საქართველო მშიერი ბავშვის გარეშე" დასრულდა.

http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/374288-devnil-skolis-mostsavleebs-miznobrivi-profilaqti-kuri-gasinjvebi-chautardath.htm

თბილისის დევნილთა მე-2 და მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებს მიზნობრივი პროფილაქტიკური გასინჯვები ჩაუტარდათ. გამოკვლევები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს "ბაზის" აღდგენით ცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდა და მოზარდების აღნაგობის დარღვევის გამოსავლენად საჭირო სპეციფიკური გასინჯვებს ითვალისწინებდა.

ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია, ასევე, აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ქეთევან ბაკარაძე და მინისტრის მოადგილეები - მარინა ონიანი და თენგიზ კვირტია ესწრებოდნენ. ღონისძიების დროს გაისინჯა თბილისის დევნილთა მე-2და მე-3 საჯარო სკოლის 200 მოსწავლე. დიაგნოსტიკის შედეგების მიხედვით, მოსწავლეების 70%-ს სქოლიოზი დაუდგინდა, ასევე, გამოვლინდა გულის მანკის ერთი შემთხვევა. გასინჯვების დროს, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოზარდებში აღმოჩენილ სქოლიოზისა და ბრტყელტერფიანობის შემთხვევებს, ქალაქ თბილისის მერიის პროგრამის ფარგლებში შპს ,,ბაზის" მაღალკვალიფიციური ექიმები, უფასო აღდგენით თერაპიასა და მკურნალობას ჩაუტარებენ.



## დუშეთი



## 2016 წელი



კლინიკა ვაკეში



<u>ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკა</u>

<u>~~უფასო გასინჯვების აქცია წნორში~~</u>.

**31 მაისი**

ციციშვილის სახ. ბავშვთა ახალი კლინიკის სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიცირებულ პედიატრმა უფასო გასიჯვების აქცია ჩაატარეს წნორში.

## ქვანიას სახელობის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკა





## თბილისის სახ.სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა ოჯახების მხარდასაჭერად ჰუმანიტარული აქცია ჩატარდა

**07-12-2016**

სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა ოჯახების მხარდასაჭერად „სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა" თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად დღეს ჰუმანიტარული აქცია განახორციელა.

აღდგენითი თერაპიის ცენტრში „ბაზი" „სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა" სამედიცინო უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტ ოჯახს 0-დან ერთ წლამდე ასაკის პატარებისთვის სხვადასხვა საკვები და მოვლის საშუალებები გადასცა. კერძოდ, რძე, ფაფები, ბოსტნეულის, თევზისა და ხორცის პიურეები, ხილფაფები. თითოეული პაკეტი დაახლოებით 200 ლარის ღირებულების იყო.

როგორც ფონდში განაცხადეს, ეს პაკეტი პატარების კვებას ერთი თვის განმავლობაში უზრუნველყოფს. ჰუმანიტარული აქციის დროს ბავშვთა კვების შესახებ ახალგაზრდა მშობლებს რჩევები ნუტრიციოლოგმა, „სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის" პროგრამის ხელმძღვანელმა ნინო თოთაძემ გაუზიარა. აქციას ასევე სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი რიმა ბერიაშვილი ესწრებოდა.

„ეს არის სტუდენტი მშობლების მხარდასაჭერი აქცია, რათა მათ იცოდნენ შვილები როგორ გამოკვებონ. იგრძნონ, რომ ჩვენ მათ მხარს ვუჭრთ, სტუდენტობის დროს ოჯახები შექმნან. ახალგაზრდებს განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდებათ და ფინანსურადაც ამ საკვების ყიდვა იოლი არ არის. მნიშვნელოვანია კონსულტაციაც, რათა ბავშვი სწორად გამოკვებონ და ჯანმრთელი გაიზარდოს. სწავლასთან ერთად შვილის გაზრდა დიდი ამოცანაა", – განაცხადა რიმა ბერიაშვილმა.

ნუტრიციოლოგი ნინო თოთაძის თქმით კი, 10 დეკემბერს მსგავსი აქციის გამართვა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტთან ერთად იგეგმება.

თავის მხრივ „სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის" ხელმძღვანელმა პროფესორმა გიორგი ჩახუნაშვილმა აღნიშნა, რომ ფონდმა აღნიშული პროგრამა ერთი წლის წინ პატრიარქის კურთხევით დაიწყო. პროგრამის ფარგლებში სულ 50-მა ბავშვმა ისარგებლა. კერძოდ, ჰემოფილიითა და ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვებს, და ასევე, კარალეთსა და ვერხვების სოფლებში მცხოვრებ 45 დევნილ პატარას საკვები და მოვლის საშუალებები უფასოდ გადაეცათ



**XXXVII საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ფარგლებში შ.პ.ს. „ბაზში"-აღდგენითი თერაპიის ცენტრში, რომელიც თსსუ-ის ერთ-ერთი ბაზაა, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების წლამდე ასაკის ბავშვებს გადაეცათ უფასოდ „ბავშვთა კვება". ქველმოქმედება გრძელდება**



2017 წელი. თბილისი. შ.პ.ს. „ბაზი" აღდგენითი თერაპიის ცენტრი. „სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი" და „გენი ქართული" აგრძელებს პროგრამას – „საქათველო მშიერი ბავშვის გარეშე" (Project: "Georgia Without Hungry Children").

**ამჯერად, 6 თვიდან – 12 თვემდე ბავშვებს უფასოდ დაურიგდათ ძვირად ღირებული მრავალფეროვანი „ბავშვთა კვება" და ჰიგიენური საშუალებანი.**

## 16.10.2017 - ბაზი





**17.10.2017. 15.00.**
**პროექტი „საქართველო მშიერი ბავშვის გარეშე" სოხუმის სახ.უნივერსიტეტში.**



**1 ივნისს უფასო გასინჯვები ჩატარდა აბრეთვე ირ.ციციშვილის ავშვთა ახალ კლინიკასა და თსსუ აფილირებულ კლინიკაში – „ბაზში", სადაც 100-ზე მეტ პაციენტი იყო.**

## 2017 წელი

2017 წელი 14 იანვარი 14.00. თბილისი. შ.პ.ს. „ბაზი" აღდგენითი თერაპიის ცენტრი. „სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი" აგრძელებს პროგრამას – „საქათველო მშიერი ბავშვის გარეშე" (Project: "Georgia Without Hungry Children").

ამჯერად, წელს პირველად, აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად, თბილისში მცხოვრებ აფხაზეთის მკვიდრთ, 6 თვიდან – 12 თვემდე 8 ბავშვს უფასოდ დაურიგდათ ძვირად ღირებული მრავალფეროვანი „ბავშვთა კვება". იმედს ვიტოვებთ წელს შემოგვიერთდებიან ქველმოქმედების გენით დატვირთული ჩვენი თანამემამულენი და მრავალი ბავშვი იქნება უზრუნველყოფილი საჭირო საკვებით.



გაიღვიძე ქველმოწმედების გენო,რომელიც ჩვენში ასე მრავლადაა, გ-ა-ი-ღ-ვ-ი-ძ-ე!!!

2017 წელს FRONTERA-ს და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის ერთობლივი საქველმოქმედო აქციები

აქციები მოეწყო ივანე ცხომელიძის (FRONTERAS სოციალური პროექტების დირექტორი) ხელმძღვანელობით, სადაც მოსახლეობას (400-მდე ბენეფიციარს) გაეწია კვალიფიციური სამედიცინო მომსახურეობა,საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (ნიქოზი, ოზურგეთი, დედოფლის წყარო თბილისი და ა.შ.).

In the year 2017 joint charity actions of the FRONTERA and the Social Pediatrics Protection Fund

The rallies were organized by Ivane Tskhomelidze (Director of the FRONTERAS Social Projects), where the population (up to 400 beneficiaries) provided qualified medical services in different regions of Georgia (Nikozi, Ozurgeti, Dedopolis Tskaro Tbilisi, etc.).

## 06.17. ზემო ნიქოზი





## 09.07 დედოფლისწყარო



## 26.10 დახმარება აფხაზეთიდან მრავალშვილია ოჯახებს





**23.05.17.თბილისი. 16.00.**

**სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრში განახორციელა – „ბავშვთა დაცვის კვირეულის ფარგლაბში" – მომდევნო ჰუმანიტარული აქცია. უფასოდ დარიგდა ბავშვთა კვება და ჰიგიენური საშუალებები,რომლებიც თვით ფირმის წარმომადგენლების უშუალო მონაწილეობით განხორციელდა. დიდი მადლობა მათ.**



## 2018

**Frontera Eastern Georgias სოციალური პროექტების დირექტორის ივანე ცხომელიძის და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის პრეზიდენტის გიორგი ჩახუნავილის ორგანიზებით მიმდინარე წელს,თბილისსა საქართველოს სხვადასხვა რეგიონსში ჩატარდა უფასო სამედიცინო გასინჯვები, სადაც ასობით პაციენტს გაეწია უფასო სამედიცინო დახმარება. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით იგეგმება ასეთივე აქცია თბილისსა და ქ. წყალტუბოში, სადაც სხვადასხვა პროფილის კვალიფიციური ექიმები გაუწევენ უფასო დახმარემას ადგილობრივ მოსახლეობას.**

**Director of Social Projects Frontera Eastern Georgia Ivane Tskhomelidze and the President of the Social Pediatrics Protection Fund Giorgi Chakhunashvili organized free medical examinations in different regions of Georgia, where hundreds of patients were provided with free medical assistance. The same action is planned on International Children's Day. In Tbilisi and in Tskaltubo where the doctors of different profile will provide free aid to the local population.**

01.12.17.თსსუ-ის აფილირებული კლინიკა – „ბაზი", აღდგენითი თერაპიის ცენტრი.

ჩატარდა მორიგი საქველმოქმედო აქცია, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელთან ერთად.




## საქმიანი ბჭობა - USINESS CONVERSATION







05.01.18.

„გენი ქართული“-თან ერთად. აგრძელებს მრავალშვილიანი ოჯახების, როგორც მორალურ ასევე პრაქტიკულ მხარდაჭერას.



06.02.18 ბაზი



12.03. ბაზი



12.04.18. ქველმოქმედება მრავალშვილიანებთან



ბაზი-08.05.18



## 23.06.18 წყალტუბო

როგორც ვიუწყებოდით: „Frontera Eastern Georgia-ს სოციალური პროექტების დირექტორის ივანე ცხომელიძის და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის პრეზიდენტის გიორგი ჩახუნავილის ორგანიზებით მიმდინარე წელს, თბილისსა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარდა უფასო სამედიცინო გასინჯვები, სადაც ასობით პაციენტს გაეწია უფასო სამედიცინო დახმარება. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით იგეგმება ასეთივე აქცია თბილისსა და ქ. წყალტუბოში, სადაც სხვადასხვა პროფილის კვალიფიციური ექიმები გაუწევენ უფასო დახმარემას ადგილობრივ მოსახლეობას“, სწორედ, ამის გამოძახილი იყო 23.06.18. გასვლა იმერეთში, რასაც შეუერთდა „ოტია იოსელიანის ფონდი“ და „მედიქალ სითი“ (გენერალური დირექტორი გია გრძელიძე). აქციაზე უფასო გასინჯვები და სამედიცინო დახმარება გაეწია 10-ობით პაციენტს. პერსპექტივაში დაისახა „მედიქალ სითი“-ის მიე საქველმოქმედო აქციები წყალდუბოს მკვიდრთათვის.

დიდი მადლობა მის ყველა მონაწილესა და ორგანიზატორს.

Director of Social Projects Frontera Eastern Georgia Ivane Tskhomelidze and the President of the Social Pediatrics Protection Fund Giorgi Chakhunashvili organized free medical examinations in different regions of Georgia, where hundreds of patients were provided with free medical assistance. The same action is planned on International Children's Day. In Tbilisi and in Tskaltubo where the doctors of different profile will provide free aid to the local population.









## 29.06.18 ჩუღურეთი



სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი და რონტერა აგრძელებს საქველმოქმედო აქციებს უკვე თბილისის სხვადასხვა უბნებში, რა თქმა უნდა მხარდამჭერებთან ერთად.

29 ივნისს საქველმოქმედო ფონდი მომავლის გზაში ჩატარდა მორიგი სამედიცინო საქველმოქმედო აქცია ჩუღურეთის რაიონის მცხოვრები ბავშვებისთვის.

ფონდში მოწვეული იყო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს დარგობრივ აკადემიათა აკადემიკოსი. (პედიატრი, ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგი) ბატონი გიორგი ჩახუნაშვილი.

სამედიცინო გამოკვლევებით ისარგებლა ჩუღურეთის რაიონის გამგებელი ბატონი ზურაბ ჩიკვილაძის მიერ რეკომენდირებულ 30 -დე ბავშვა. აღნიშნულ აქციას თავად ჩუღურეთის გამგებელი ბატონი ზურაბ ჩიკვილაძეც ესწრებოდა. ასევე სამედიცინო მომსახურეობა გაეწია ფონდი მომავლის გზის 40 ბენეფიციარ ბავშვს. სულ უფასო სამედიცინო გამოკვლევევის პროგრამით ისარგებლა 70-დე ბავშვმა, რომელიც გადამისამართდნენ თბილისის სხვადასხვა წამყვან კლინიკებში.

ფონდი დიდ მადლობას უხდის ბატონ გიორგი ჩახუნაშვილს უანგარო, კეთილშობილური მისიის გამო. ფონდი მომავლის გზა ასევე განსაკუთრებულ მადლობას უხდის პროექტის ორგანიზატორს ქალბატონ ლალი ელიზბარაშვილს.





## აგვისტო 2018წ-სვანეთი – აქცია მესტიასა და უშგულში







# რედაქცია გულითადად ულოცავს ბატონ ყარამანს დაბადების 70 წელს

### ინტერვიუ პროფესორ ყარამან ფაღავასთან



**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის (ამჟამად პედიატრიის № 2) დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ყარამან ფაღავას მიმდინარე წელს 70 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა იუბილარს და რამდენიმე შეკითხვა დაუსვა.**

***— ბატონო ყარამან, რას მიიჩნევთ თქვენს ძირითად მიღწევად პროფესიაში?***

ძნელი შეკითხვაა, თავს ტიპიურ მედიკოს პროფესორად ვთვლი და ვაკეთებ იმას, რასაც, ჩემის აზრით, უნდა ვაკეთებდე. პაციენტები, სწავლება, კვლევა, გარკვეული საზოგადოებრივი აქტივობა. მიღწევებიც შესაბამისია, ზოგი საჩინოა, ზოგი ნაკლებად თვალშისაცემია, მაგრამ რაც არის, ეს არის.

როგორც პრაქტიკოსმა ექიმმა, ხელი შევუწყვე ბაქტერიოფაგოთერაპიისადმი ინტერესის აღორძინებას, მაქსიმალურად ვნერგავ მკურნალობის არამედიკამენტოზურ მეთოდებს; ცელიაკია, იშვიათი დაავადებების დიაგნოსტიკა, პედიატრიული ეკოლოგიური პათოლოგია, მოზარდთა მედიცინა, მტკიცებულებებზე დაყრდნობით სხვადასხვა მედიკამენტის ავკარგიანობაზე საკუთარი შეხედულებების შემუშავება და მათი გაზიარება – ესეც ჩემი საქმეა. დიდ ყურადღებას ვუთმობ ავადმყოფებთან და მათ მშობლებთან კომუნიკაციის ხარისხს, გერმანელი ექიმის ადალბერტ ჩერნის მსგავსად მიმაჩნია, რომ ბავშვთა ექიმი ბავშვის აღმზრდელიც უნდა იყოს (ცხადია, მრჩეველის რანგში), ვცდილობ ამ ხაზითაც ვიმოქმედო, აღარაფერს ვამბობ ბავშვთა დაცვისადმი მიმართულ პრაქტიკულ ძალისხმევას. მოგეხსენებათ, ყოველივე ეს პედიატრის მოვალეობაა.

სწავლება – ყველას ვასწავლი – ოჯახის წევრებს, სტუდენტებს, დოქტორანტებს, ექიმებს, საერთოდ საზოგადოებას. 1974 წლიდან ვეწევი პედაგოგიურ საქმიანობას, ხომ წარმოგიდგენიათ! ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტობის თითქმის 40-მა თაობამ გაიარა ჩემს ხელში, 25 ექიმმა დაიცვა დისერტაცია ჩემი ხელმძღვანელობით. ვფიქრობ, ჩემი, როგორც მასწავლებლის, მთავარი ამოცანა ინფორმაციის მიწოდება კი არ არის, არამედ ინტელექტუალური უნარების სწავლება – პრობლემის გადაწყვეტისა და გადაწყვეტილების მიღებისა. აუცილებლად მიმაჩნია აგრეთვე მიდგომების, შეხედულებების, საკუთარი პიროვნების გაზიარება. მე მგონი ემანუილ კანტს აქვს ნათქვამი, რომ პროფესორმა თავის ლექციებში აუცილებლად საკუთარი შედეგები და საკუთარი ხედვა უნდა გამოხატოს.

ახლა მეცნიერებაზე – დაახლოებით 500 პუბლიკაცია მაქვს, მონოგრაფიებიც, სახელმძღვანელობიც, ბროშურებიც. ციტირების ინდექსმა 1200-ს გადააჭარბა, ჰირშის ინდექსმა 11-ს მიაღწია. სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავს კლასიკურ პედიატრიას (კლინიკური კვლევები, სამკურნალო ჩარევების ეფექტურობის დადგენა), განვითარების ფიზიოლოგიას, კერძოდ, ბავშვთა და მოზარდთა ფიზიოლოგიური თავისებურებების კვლევას ნორმასა და პათოლოგიის დროს (მოზარდთა ქცევა, დეპრივაციის – მშობელთა მზრუნველობის დეფიციტის ზეგავლენა ბავშვის განვითარებაზე, კომპიუტერის ზეგავლენა ორგანიზმის მარეგულირებელ სისტემებზე, უსინათლო ბავშვების ორიენტაცია სივრცეში, აგრესია და ჰიპერტენზია, ფუნქციურ-მორფოლოგიური ასიმეტრია, ბიორითმები, დაბალინტენსიური ლაზერული გამოსხივების, პლაფერონის, ბაქტერიოფაგის მოქმედების მექანიზმები, ფიზიკური განვითარების ნორმატივები), კლინიკურ ეპიდემიოლოგიას, მათემატიკური მეთოდების გამოყენებას ბავშვთა და მოზარდთა პრობლემატიკის განხილვისას.

რაც შეეხება შედეგებს, რომელი ერთი ვთქვა. უშუალოდ ჩემი თუ ჩემი ხელმძღვანელობითა და თანამშრომლობით შესრულებული შრომებიდან მხოლოდ უმთავრესს გავუსვამ ხაზს: მასალები ლაზეროთერაპიაზე პედიატრიაში შეჯამდა ამ დარგში მსოფლიოში პირველი მონოგრაფიის სახით. დადგინდა პრეპარატ პლაფერონის იმუ-



ნომამოდულირებელი და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება ადრეული ასაკის ბავშვებში. ორმაგი ბრმა მეთოდით პლაცებო კონტროლირებადი კვლევის საფუძველზე დადგინდა ბაქტერიოფაგოთერაპიის კლინიკური ეფექტურობა დიარეების დროს. პირველადაა დადგენილი, რომ პერორალურად მიღებული ბაქტერიოფაგი გადადის ლიქვორსა და შარდში, რითაც დასაბუთდა ამ პრეპარატის სისტემური გამოყენების მიზანშეწონილობა, მათ შორის – მენინგიტის მკურნალობაშიც.

ნაჩვენები იქნა ენერგოსტიმის ეფექტურობა ასფიქსიის მკურნალობაში ახალშობილებში. იუვენილური ჰიპერტენზიის დროს (თავისი არსით იგი ესენციურ ჰიპერტენზიას მიეკუთვნება) დადგინდა აგრესიის მაღალი დონე; ზრდაში ჩამორჩენის დროს სახეზეა გამოკვეთილი დეპრესია, ბრონქული ასთმის დროს – ტლანქი განწყობის მომატებული სიხშირე. დაბადების პროცესს ყოველთვის მეტ-ნაკლებად გამოხატული ჰიპოქსია ახლავს თან. დადგინდა, რომ ჟანგბადის დეფიციტის მეტი ხარისხის დროს ახალშობილებში ადგილი აქვს ერითროციტების ელასტიკურობის შემცირებას, რედოქს-პოტენციალის მკვეთრ დაქვეითებას და ციტოქრომების მატებას.

დედის მზრუნველობის დეპრივაციის პირობებში ადრეული ასაკის ბავშვებში ადგილი აქვს ზრდა-განვითარებაში ჩამორჩენას, მომატებულ ავადობასა და სიკვდილობას (მეორადი იმუნოდეფიციტის გამო), ინტელექტუალური კოეფიციენტის დაქვეითებას, ფსიქოპათიური ქცევას. დადგინდა, რომ პერსონალურ კომპიუტერზე ხანგრძლივად მუშაობისას მოზარდებში ადგილი აქვს არტერიული წნევის მომატებას, მეხსიერებისა და ყურადღების დაქვეითებას, ძილ-ღვიძილის ციკლის დარღვევებს, მომატებულ აგზნებადობას. შესწავლილია ზემოდ ჩამოთვლილი დარღვევების ბიოქიმიური და იმუნოლოგიური კორელატები. ნაშრომების ციკლი ეძღვნება მოზარდთა ჯანმრთელობას და ქცევას. მიღებულია ქვეყნისთვის პრიორიტეტული შედეგები. ვსწავლობდით ფუნქციურ ასიმეტრიას და მის მიკრომორფოლოგიურ კორელატებს. პირველად დადგინდა, რომ დერმატოგლიფიკური პარამეტრები დაბადებიდანვე მაღალი ალბათობით იძლევა ფუნქციური ასიმეტრიის მხარეობის ვარაუდის შესაძლებლობას.

პირველად საქართველოში შეიქმნა ზრდის პერცენტილური მრუდები.

პრიორიტეტულია მოზარდთა ჯანმრთელობა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევის ამსახველი მაჩვენებლების გამოხატულება საქართველოში, ვირუსული და მიკოპლაზმური ინფექციის სიხშირე. ადაპტირებულია და აპრობირებული ინსტრუმენტები ეპიდემიოლოგიური კვლევისა და პათოლოგიის შინაგანი სურათის შესაფასებლად. შესწავლილია ანტიბიოტიკების გამოყენების თავისებურებები და ტრენდები.

ნაჩვენებია მათემატიკური მეთოდების და „არამკაფიო ლოგიკის" მიდგომების გამოყენების მნიშვნელობა განვითარების პროგნოზირებასა და სამედიცინო გადაწყვეტილების მიღებაში („არამკაფიო ლოგიკის" გამოყენების წინამძღვრები იშვიათი დაავადებების დიაგნოსტიკაში პრიორიტეტულ ხასიათს ატარებს მსოფლიო მასშტაბით).

***— საზოგადოებრივ მოღვაწეობას თუ ეწევით?***

პოლიტიკურს ნამდვილად არა. ვარ პროფესიული ასოციაციების დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ვკითხულობ ლექციებს ბავშვთა და მოზარდთა განვითარებასა და ჯანმრთელობაზე რადიოთი და ტელევიზიით, ამჟამად პირველ სამედიცინო არხზე „პულსი" მიმყავს პროგრამა „პედიატრიული ფაკულტეტი", ვაქვეყნებ ბროშურებსა და სტატიებს. ვერთვები ჩემს კოლეგებთან ერთად საერთაშორისო „ბადეებში", ესენია ARPEC, PRINTO, J-projct, ICORD, EPIRARE, HBSC და სხვა, ასე ვთქვათ, ჩვენი ქვეყნის „ელჩის" ფუნქციებს ვასრულებ ამ მიმართულებით. გარკვეულწილად იგივედ მივიჩნევ საერთაშორისო თანამშრომლობას, საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზაციას, საერთაშორისო სამეცნიერო კრებულების მომზადებას.

***— ჰობი თუ გაქვთ, ბატონო ყარამან?***

მაქვს: ვაქვეყნებ შრომებს გენეალოგიაზე, კერძოდ, ჩემი გვარის ისტორიაზე, ქართულ-გერმანულ კავშირებზე, გრაფი ფონ დერ შულენბურგის ღვაწლზე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და შემდგომ მისი გერმანიის მიერ დიპლომატიურ აღიარებაში, მიყვარს ცურვა, მოგზაურობა, ლაშქრობები, ზოგჯერ შვილიშვილებთან ერთად.

***— მომავალ გეგმებზე რაღას იტყვით?***

ინდივიდუალურ გეგმებზე არაფერს ვიტყვი, თუ მივაღწევ დასახულ მიზნებს, მაშინ ვიტყვი მხოლოდ. საზოგადოდ კი მინდა გავიხსენო ციტატა, შეგონება კონსტანტინე გამსახურდიასაგან, დაახლოებით ასე ჟღერს – „მე დავიბადე მსოფლიოში უმცირესი მდინარის ზანას ნაპირას და მერე ჩემს თავს სულ ამას ვეუბნებოდი, შენ ჰეი, მსოფლიოში უმცირესი მდინარის ნაპირას დაბადებულო, არ დაგჩაგრონ დიდი მდინარეების პირას დაბადებულებმაო". მსურს და ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ტოლს არ დაუდებს სხვებს, იქნება ჯანსაღი, გონიერი და გამარჯვებული.

***— დიდი მადლობა, ბატონო ყარამან. გისურვებთ ჯანმრთელობასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.***

მადლობა თქვენ.



# „სიბრძნე სიცრუის ტირაჟირება თანამედროვე ჯანდაცვის სისტემაში“

*დასასრული. დასაწყისი მე-5 გვ.*

დები, რადგან ვერ უზრუნველყო მათი ჯანმრთელობის დაცვადა პრინციპულად მოითხოვა ამ სოციალური ინსტიტუტის დემონტაჟი. უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი სამსახურები – ცალკე ავადმყოფებისათვის და ცალკე – პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანებისათვის.

თანამედროვე ჯანდაცვის რეორგანიზებულ სისტემაში უნდა დამკვიდრდეს „ჯანმრთელობის მედიცინის“ ორგანიზციული სტრუქტურის ფუნქციონირება, რომელიც დაფუძნებული იქნება ვალეოლოგიური განათლების მეთოდოლოგიურ პრინციპებზე და ჯანმართვის კრიტერიუმებზე, რაც ხელს შეუწყობს პიროვნებისა და ოჯახის კეთილდღეობას, გაზრდის ქვეყნის შრომის პოტენციალს, სოციალურ-კულტურულ დონეს და ა.შ.

ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის წარუმატებლობა განაპირობა სახელმწიფო პროგრამის „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ განხორციელების იდეამ, რომელიც მცდარი აღმოჩნდა, როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად და მეთოდოლოგიურად. ამ წარუმატებლობის პირველი მიზეზი გახდა ტერმინი „ჯანდაცვა“, რაც გულისხმობდა მხოლოდ ხალხის ჯანმრთელობის დაცვას, რაც საბოლოო ჯამში შეეხო ყველა პროგრამას, რომელთა მიზანია დაავადებათა აცილება და მკურნალობა. ჯანმრთელობის „მესამე მდგომარეობაში“ მყოფი ადამიანებისათვის ჯანმრთელობის შენარჩუნება ან მატება ისევე რჩება აბსტრაქტულ ცნებად და, როგორც წესი, პროგრამების რეალიზაციის პროცესში იკარგება მხედველობის ველიდან. მეორე შეცდომა – კანონით მინიჭებული უფლებრივი და ეკონომიკური თანადგომის იმედი სახელმწიფოებრივი სტრუქტურებიდან. დღეს არსებული არასტაბილურობის პირობებში, შეუძლებელია ქვეყნის მთავრობამ განახორციელოს ნებისმიერი გეგმები და პროგრამები, თუმცა ამისათვის დღეიდანვე საჭიროა მომავალზე ზრუნვა, კერძოდ, უმაღლესი განათლების სასწავლებლებში მომზადდეს კვალიფიცირებული კადრები ვალეოლოგიაში. ამ ორგანიზციულ პროცესში უნდა განხორციელდეს მათი დიფერენცირება, კერძოდ, როგორიცააექიმი-ვალეოლოგი, პედაგოგი-ვალეოლოგი, ფსიქოლოგი-ვალეოლოგი და ა. შ. , რომლის პრეცედენტები არსებობს განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალურ პროგრამაში – „ხალხის ჯანმრთელობა“ გამოყოფილია სამი ორგანიზაციული პრინციპი თავისი შემსრულებლებით (მსგავსად ვალეოლოგიური მიდგომებისა): ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, ე. წ. „წინ წაწევა“ (Health promotion), 2. ჯანმრთელობის დაცვა (Health protection) და 3. პროფილაქტიკური მედიცინის სამსახური (Preventive services), რომლებიც ერთმანეთს ავსებს და ეფექტურად აუმჯობესებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტატუსს. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ განვითარებულ ქვეყნებში შეიქმნა ახალი სამეცნიერო-პრაქტიკული დისციპლინა – კლინიკური ეკონომიკა, რომელიც წყვეტს ფინანსურ პრობლემას – მედიცინის რომელ მიმართულებას ესაჭიროება მიზნობრივი თანხის გამოყოფა, რათა მიღწეული იქნეს სასურველი ეფექტი მოსახლეობის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. ძალზე დასანანია, რომ საქართველოში ნაკლებად ექცევა ყურადღება ვალეოლოგიურ განათლებას, როგორც სამთავრობო სტრუქტურებში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში. მიზეზი კი უნდა ვეძებოთ მეცნიერთა შორის არსებულ შიდადარგობრივ პროფესიულ კონსერვატიზმში. მედიცინის განვითარება მთლიანად დაფუძნებულია პარადოქსზე. ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირებისას მედიცინა დაკავებულია მხოლოდ დაავადებების პრობლემებით და არა ჯანმრთელობის შენარჩუნებით, განმტკიცებითა და სრულყოფით. ამ მცდარ სახელმწიფოებრივ მიდგომას ეხმაურება უკრაინელი პროფესორი გ. აპანასენკო: „თუ გვინდა განვავითაროთ კოსმოსური ტექნიკა, უნდა განვავითაროთ რაკეტამშენებლობა; თუ გვინდა მივიღოთ რძე და ხორცი, უნდა განვავითაროთ სოფლის მეურნეობა; თუ გვინდა გვყავდეს ჯანმრთელი ადამიანი, უნდა დავკავდეთ ჯანმრთელობის შესწავლით, ხოლო მედიცინა კი საერთოდ დაკავებულია დაავადებით. სულ უფრო და უფრო მეტი ვიცით დაავადების შესახებ, უფრო და უფრო მეტად ვავლენთ ავადმყოფ ადამიანებს, სულ უფრო და უფრო მეტად ვიგონებთ და ვქმნით ახალ სამკურნალო პრეპარატებს და ამ სტრატეგიის განხორციელებას საბოლოოდ შევყავართ ჩიხში.“

ამგვარად, თანამედროვე ჯანდაცვის სისტემაში სიბრძნე-სიცრუის ტირაჟირებისას მრავალი ფაქტორის არსებობა დაგვაფიქრებს და მოარული ტერმინი „ჯანსაღი ცხოვრების წესი“ იპოვის თავის განკუთვნილ ადგილს ვალეოლოგიური განათლების სფეროში.

***აკადემიკოსი***
***იგორ დოლიძე***




# კვალი ნათელი

## მოგონებათა მოზაიკა ირაკლი ფაღავაზე



2018 წლის 28 მარტს 100 წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ ქართველ პედიატრს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ირაკლი ფაღავას. თითქმის 50 წელი იგი ემსახურა ქართულ პედიატრიას, იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ბავშვთა სნეულებათა კათედრის გამგე, პედიატრიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტი.

მიზანშეწონილად მივიჩნიეთ წარმოგვედგინა მასზე მოგონებების კოლაჟი, ასევე რამდენიმე ციტატა ირაკლი ფაღავას წიგნებიდან და პუბლიცისტიკიდან.

ბავშვისადმი სათუთი მოპყრობა და მზრუნველობა ქართველი ხალხის ერთ-ერთი უძველესი კეთილშობილური და მტკიცე ტრადიციაა. ჩვენი ადათ-წესებიდან, ლეგენდა ზღაპრებიდან და სიტყვაკაზმული მწერლობიდან ჩანს, რომ რომ შეუწყნარებლად იყო მიჩნეული ჩვილთმკვლელობა, უზნეობად – შვილის დამშევა, სამრცხვინო – შეგირდისამი გულგრილობა [წიგნიდან ირაკლი ფაღავა. ბავშვთა დაავადებები, პირველი ნაწილი. თბილისი, 1976].

ბევრი მოასწრო, ბევრიც გასაკეთებელი დარჩა. მოამზადა, მაგრამ ვეღარ გამოსცა მონოგრაფია – „ფსიქო-სომატური პათოლოგია პედიატრიაში“. დაიწყო, მაგრამ ვეღარ დაამთავრა მუშაობა წიგნზე „ქართველი ბავშვი“ (ბიო-ფსიქოლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინებით); ბევრს გაუკვირდება, მაგრამ ფაქტია – გადაწყვეტილი ჰქონდა ქართული საბავშვო ოპერა დაეწერა. ირაკლი ფაღავას კლასიკური მუსიკალური განათლება ჰქონდა მიღებული, კონსერვატორიაში სწავლობდა საკომპოზიტორო ფაკულტეტზე, რომანსების ავტორი იყო, მშვენივრად უკრავდა და მღეროდა.

ბოლოს, დებულება გავიხსენოთ; შეიძლება გახდე მასწავლებელი, დიდად განსწავლული, განათლებული პიროვნება, მაგრამ დიდი ადამიანი არ იყო, ხოლო თუ მასწავლებელს ჰყავს თანამიმდევრები, მოწაფეები უეჭველად დიდი ადამიანი გახლავთ. ირაკლი ფაღავა ჭეშმარიტად დიდი ადამიანი იყო, მოძღვრის ნიჭით დაჯილდოებული. ჭეშმარიტად – ასე იქნებიან „წინანი უკან და უკანანი წინ, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ (მათე 20, 1-16). [ნინო მანჯავიძე „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“. ცხოვრობდა ასეთი კაცი. „საქართველოს რესპუბლიკა“, 16 აპრილი, 1994 წ.]

სამედიცინო და პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებელი შეიძლება ბევრმა დაამთავროს, მაგრამ მათგან ყველა როდი გამოვა ამ კეთილშობილური პროფესიების ღირსეული წარმომადგენელი. მაღალი ინტელექტუალური დონე და კარგი აკადემიური წარმატება აქ ყველაფერს როდი წყვეტს. ამის აუცილებელი პირობაა ალტრუიზმისადმი მიდრეკილება და წინსწრაფვის, ემპათიის უნარი, ეს კი პიროვნული თვისებებია, რაც უთუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული ჯერ კიდევ აბიტურიენტის შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას [მეცნიერის (ირაკლი ფაღავას) უკანასკნელი ინტერვიუ. „აღვზარდოთ სრულფასოვანი პიროვნება“. „სახალხო განათლება“, 2 თებერვალი, 1988 წ.].

ჩვენი საუკუნის დასაწყისში პედიატრიის ერთ-ერთი კლასიკოსი მარფანი წერდა, მსოფლიოს ულამაზესი ქართველი ქალები დიდხანს ინარჩუნებენ მომხიბვლელობას იმის გამო, რომ შვილებს საკუთარი ძუძუთი ზრდიანო. გავიდა წლები და გავრცელდა, მე ვიტყოდი, საშინელი სენი – ბევრი ქართველი ქალი შვილს ძუძუს აღარ აწოვებს, თუმცა რძე კი აქვს [ინტერვიუ ირაკლი ფაღავასგან. „სახალხო განათლება“, 21 ოქტომბერი, 1987 წ.]

ბევრ მშობელს სურს, რომ მისი შვილი სკოლაშიც კარგად სწავლობდეს და კარგი მოცეკვავეც, მუსიკოსიც, პოლიგლოტიც იყოს. მაგრამ როგორია ბავშვის შესაძლებლობა? ეს საკითხი მან აუცილებლად უნდა გაარკვიოს მაღალკვალიფიციურ პედაგოგთან და პედიატრთან. სხვათა შორის, დიდი რუსი პედაგოგისა და ქირურგის ნ. ი. პიროგოვის დაკვირვებებით, სხვა ენების შესწავლა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც მშობლიური ენა ღრმა ფესვებს გაიდგამს ბავშვის სულიერ სამყაროში. [ირაკლი ფაღავა. თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ. ბავშვის ჯანმრთელობისა და აღზრდის ზოგიერთი თანამედროვე პრობლემა. კრებულიდან „წიგნი ირაკლი ფაღავაზე“, თბილისი, 2018].

ირაკლი ფაღავამ მთელი ცხოვრება თავდაუზოგავად იშრომა ქართული მეცნიერების, მედიცინის განვითარებისთვის, ნორჩი თაობის საკეთილდღეოდ. მის მიერ მიღებული სამეცნიერო შედეგები ანგარიშგასაწევია, მრავალი მათგანი პრიორიტეტული. წინწამოწეული პრობლემები – პრემორბიდი, პუბერტატი, კომპლემენტური მედიცინა, დედასა და ნაყოფს შორის იმუნური ურთიერთობა, ფსიქოსომატური და სომატოფსიქიკური ურთიერთობები – თანამედროვე პედიატრიული კვლევის ფრიად აქტუალური საგანია დღესაც. [თენგიზ ონიანი, ნინო მანჯავიძე, ყარამან ფაღავა. ირაკლი ფაღავას ბიობიბლიოგრაფია. თბილისი, 2006].

საქართველოში, ქართველ ერში, ბევრი გამორჩეული გვარია, რომლის წამომადგენლებიც ამშვენებენ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას, ისტორიას და მაგალითია ჩვენი მომავალი თაობისათვის. არ შევცდებით თუ ვაღიარებთ, რომ ფაღავათა მოდგმა სამართლიანად იმსახურებს ჩვენს კეთილგანწყობასა და პატივისცემას. გავიხსენოთ საქართველოში თეატრალური სტუდიის ფუძემდებელი აკაკი ფაღავა, მსოფლიოში ცნობილი ბალერინა ეთერი ფაღავა, რომლის საბალეტო ხელოვნებას ამ რამდენიმე წლის წინათ გაეცნო თბილისელი მაყურებელი. ცნობილია პარიზში მოღვაწე მხატვარი ვერა ფაღავა. სახელოვანი მამულიშვილია საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას სიძე ლევან ფაღავა და სხვა. აი, ამ მართლაც გენეტიკურად განპირობებული ბრწყინვალე გვარის შესანიშნავი წარმომადგენელი გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნ. დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ირაკლი ფაღავა [თამაზ ჭურაძე. ირაკლი ფაღავა. ჟურნალი საქართველოს პედიატრი, 1993].



ბატონი ირაკლი ბედნიერ ვარსკვლავზე გახლდათ დაბადებული. მისი მეუღლე, ქალბატონი ელენე (ლიალია) მედიკოსთა ოჯახის შთამომავალი და თავადაც ექიმი ფტიზიატრი იყო. იგი ბრწყინვალე ადამიანი, ერთგული მეუღლე, ამაგდარი დედა, დახვეწილი არისტოკრატი და ინტელგენტი ბრძანდებოდა [ნიკოლოზ უმიკაშვილი. კრებულიდან „წიგნი ირაკლი ფაღავაზე“, 2018].





მქონდა ბედნიერება ბატონი ირაკლი ჩემი მასწავლებელი ყოფილიყო 1943-1944 წლებში, როდესაც ინსტიტუტში პედიატრიას ვსწავლობდით. ის მაშინ ოცდახუთი წლისაც არ იქნებოდა და უკვე განსაკუთრებულად მოწესრიგებული, სტუდენტებთან თავის დამოკიდებულებით მოწიფული პედაგოგის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მაშინ,რა თქმა უნდა, ლექციებს არ კითხულობდა, კურაციულ მეცადინეობებს ატარებდა და რა დიდად დასანანია, რომ დღეს შეუძლებელია მის მიერ ჩატარებული თუნდაც ერთი კურაციული მეცადინეობის რეპროდუქცია. უპირველესად ის სტუდენტისაგან ითხოვდა ექიმის იერსახეს ქცევის ყველა ნიუანსით. ამისათვის მას არ სჭირდებოდა სტუდენტის გაფრთხილება, საკმარისი იყო მიბაძვა და იმ ქმედების გამეორება, რომელიც მას უკვე შესისხლხორცებული ჰქონდა. თავისი ტაქტით, ეთიკით, განსაკუთრებული სითბოთი და კეთილგანწყობით სტუდენტს არ აძლევდა საპირისპირო ქცევის უფლებას. ასეთ სიტუაციაში იწყებდა საუბარს, რომელიც გარდა სასწავლო თემისა, რაც კურაციის საგანს შეადგენდა, მისი საუბრის შინაარსი ყოფას, ქართული მედიცინის, კერძოდ, პედიატრიის ისტორიას, ხელოვნებას, ლიტერატურას, მუსიკას, პატრიოტიზმს, ჰეროიკულ ეპიზოდებს ეხებოდა და ისე ზომიერად, შეზავებულად, რომ სტუდენტი ყოველ მეცადინეობაზე გრძნობდა, რომ იზრდებოდა არა მხოლოდ როგორც მედიკოსი, არამედ, როგორც მოქალაქე, ქართველი მოქალაქე, მამულიშვილი [თამარ დეკანოსიძე. ღვაწლმოსილი მეცნიერი, მკურნალი, პედაგოგი. ჟურნალი საქართველოს პედიატრი, 1993].

მას პირადი მეგობრობაც აკავშირებდა მწერლებთან. ჯერ ის უნდა ითქვას, რომ შესანიშნავად იცნობდა ქართულ მწერლობას, პირველ ყოვლისა – კლასიკოსებს და ახალსაც, თანამედროვე მწერლობასაც. მიკვირდა კიდეც, როგორ ასწრებდა ამდენის წაკითხვას. იყო ხელოვნების კარგი მცოდნე და მოტრფიალე. იქნებ ესეც გადაჭარბებად მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ არა მგონია თეატრის რომელიმე პრემიერა გამოეტოვებინოს. განსაკუთრებით უყვარდა საოპერო ხელოვნება, საერთოდ, კარგი მუსიკალური სმენა ჰქონდა და შეეძლო ზეპირად ემღერა ადგილები კლასიკური ოპერებიდან. სმენის გარდა ამაში ხმაც უწყობდა ხელს – ლამაზი ტემბრის ბარიტონი ჰქონდა. აღმერთებდა ფალიაშვილს. მიუჯდებოდა ხოლმე როიალს და უკრავდა ცალკეულ სცენებს „დაისიდან“, „აბესალომიდან“, თავადაც მღეროდა გატაცებით, თავდავიწყებით და სხვებსაც ამღერებდა. მომხიბლავი ადამიანი იყო – უბრალო, რბილი, თავმდაბალი, გულისხმიერი; გხიბლავდა თავისი დახვეწილი ინტელიგენტობით. უნდა გენახათ მეგობრების წრეში. ამ დროს იგი განუმეორებელი გახლდათ. რევაზ მარგიანის ახლობელი იყო და მარგიანების სახლში ხშირად ნახავდით მწერლებთან ერთად. ირაკლი ფაღავასთან ყოველი შეხვედრა, გამოლაპარაკება უდიდესი სიამოვნება იყო – რაღაცნაირად გამაღლებდა, სიმხნევეს გმატებდა. იგი მარტო სამედიცინო დარგს არ დაკლებია – მთელს ქართველ საზოგადოებას, ქართულ კულტურასაც დააკლდა. მეგობრები ყოველთვის ტკბილი სევდით გაიხსენებენ მასთან გატარებულ დღეებს, ხოლო მრავალრიცხოვანი ახალგაზრდობისათვის, მისი სტუდენტებისა და ნასტუდენტარებისათვის – იგი მუდამ შესანიშნავი მაგალითი იქნება, როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მოქალაქე, ინტელიგენტი, თავისი პროფესიის ერთგული და პატივისმცემელი [ვახტანგ ჭელიძე. ქართველი მწერლების მეგობარი. ლიტერატურული საქართველო, 1988].

ქართველი მოსახლეობის ზრდა უნდა განაპირობოს პატრიოტული მოტივებით შექმნილმა ფსიქოლოგიურმა განწყობამ. არ დავივიწყოთ წინაპართა ბრძნული ნათქვამი „ერთი შვილი – არა შვილი, ორი შვილი – ვითომ შვილი, სამი შვილი – მართლა შვილი“ [ირაკლი ფაღავა. გაზეთი ლიტერატურული საქართველო, 1970 წ.].

მამას ნათქვამი მაგონდება: მიხეილ სტეფანეს ძე მასლოვი, ცნობილი პედიატრი, აკადემიკოსი, ერთადერთი პედიატრი, სამედიცინო სამსახურის გენერალ-მაიორის წოდება რომ ჰქონდა, მამაჩემი მოხსენებით რომ გამოდიოდა, სულ ახალგაზრდა დოცენტი თუ პროფესორი, ამბობდა „Òèõî, êíÿçü âûñòóïàåò”-ო.

უცნაური ამბავია, გრძნობდა ალბათ სიკვდილის მიახლოებას. გარდაცვალებამდე ორი კვირის განმავლობაში ვინ არ მოინახულა, ნათესავებთანაც იყო, თანამშრობლებთანაც, მეგობრებთან, თითქოსდა ემშვიდებოდა ყველას. ამჩნევდნენ, რომ არ იყო კარგად, მაგრამ რას ეტყოდნენ. მწეველი კაცი იყო, ბოლო დღეებშიც კი იხტიბარს არ იტეხავდა, პაპიროსს მოუკიდებდა, მაგრამ იქვე აქრობდა. ბოლოს შანიძეებთან იყო, მე მგონი. ჯერომ (ნინო მანჯავიძემ) მომიყვა, მიუჯდა როიალს და „ჩემო კარგო ქვეყანა, რაზედ მოგიწყენია, აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია” წაიმღერა. უხმოდ ტიროდა ყველა. ალბათ მისი ბოლო ნამღერი იყო.

ერთი შეხედვით ტიპიური მოცარტიანული ბუნების ადამიანი იყო მამაჩემი – დიაგნოზს ერთი შეხედვით სვამდა, ექსპრომტი სადღეგრძელოები იცოდა, დისერტანტს სამეცნიერო თემას წუთებში შეურჩევდა, ახალ მუსიკალურ მელოდიას სუფრაზე რაღაც ნაგლეჯზე ჩაწერდა, მაგრამ ყოველივე ამის მიღმა ცხადია ნიჭი და დიდი შრომა იყო. მახსენდება. ჩაქვში ვისვენებდით. დღეში რვა საათს და ზოგჯერ მეტსაც მუშაობდა, სახელმძღვანელოს წერდა. კონსტანტინე გამსახურდიასეული – „შრომა არის ყველაზე დიდი სიქველე“ – უბადლო მაგალითად მივიჩნევ... მასზედაც ითქმოდა ეს. ცოტათი ბიძას, აკაკი ფაღავას ემსგავსებოდა, ამ უკანასკნელზე ამბობდნენ უშრეტი ფაღავასეული ენერგიის მქონეაო, საქმიანობის გიჟი, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით [ყარამან ფაღავა. მოგონებათა მოზაიკა. კრებულიდან „წიგნი ირაკლი ფაღავაზე“, თბილისი, 2018].

***პუბლიკაცია მოამზადეს ყარამან ფაღავამ და გიორგი ჩახუნაშვილმა***

მოგონება

# ზოგიერთისათვის ბატონი გიორგი და ზოგიერთათვის გოგილო



**ძნელია, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ჩვენთვის უსაყვარლესი პროფესიონალი, მისაბაძი მეუღლე, მამა, შვილი, ნათესავი და მეგობარი**

**გიორგი ელგუჯას ძე ყიფიანი**

**დაბადების თარიღი – 1961 წლის 2 დეკემბერი, თბილისი.**

**განათლება** – 1979-1984 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის-(თსსუ) სტომატოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი, აკად. ა. ნათიშვილის სახელობის სტიპენდიანტი. 1984-1989 თსსუ თერაპიული სტომატოლოგიის კათედრისკლინიკური ორდინატორი, ასპირანტი. აღნიშნულ პერიოდშიმივლინებული იყო ქ. მოსკოვში სტომატოლოგიის ცენტრალურსამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში

**შრომითი საქმიანობა** – 1990-1995 თსსუ თერაპიული სტომატოლოგიის კათედრის ასისტენტი.

1995-2004 თსსუ ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი.

1998 თსსუ სამეცნიერო-პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა 1997/1998 სასწავლო წლის უნივერსიტეტის საუკეთესო პედაგოგის წოდება.

2001-2006 თსსუ ბავშვთა №1 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის დირექტორი.

2004 თსსუ ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის პროფესორი.

2004-2005 თსსუ სტომატოლოგიური ფაკულტეტის დეკანი.

2005-2008 თსსუ ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

2008 წლიდან შ.პ.ს. „ავერსის კლინიკის" სტომატოლოგიის სამსახურის უფროსი.

**სერთიფიკატები** – სახელმწიფო სერტიფიკატი თერაპიულ სტომატოლოგიაში №0007098

**კვალიფიკაცია** – სახელმწიფო სერტიფიკატი ბავშვთა სტომატოლოგიაში №012025

**ტრენინგები** – სახელმწიფო სერტიფიკატი საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ჯანდაცვისო რგანიზაციაში № 008194

**საზოგადოების ასოციაცის საბჭოს წევრობა** – FDI certificate (2005), FDI certificate (2006), Deutsches Dental Depo (VOCO) certificate (2006), FDI certificate (2007)

საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიონალური ასოციაციის ვიცეპრეზიდენტი 2009 წლიდან.







**სამეცნიერო-კონფერ. მონაწილეობა** – არა ერთი ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობისსამეცნიერო. პრაქტიკული კონფერენციის მონაწილე.

**პუბლიკაციები** – 1989 საკანდიდატო დისერტაციის დაცვა თემაზე, კბილის კარიესისკლინიკა და მკურნალობა კარიესის აქტივობის სხვადასხვა ხარისხისდროს ქ. თბილისის ბავშვებში. ” ხელმძღვანელი პროფესორივ. ლეონტიევი.

2003 სადოქტორო დისერტაციის დაცვა თემაზე, ქრონიკულიტონზილოპათიების როლი კბილის კარიესის პათოგენეზში”.

38 სამცნიერო შრომის ავტორი.

ღმერთმა გაანათლოს მისი სული





# ახლგაზრდა პედიატრის მოსაგონარი

სამწუხაროა, როდესაც ახალგაზრედა პედიატრი აკლდება ჩვენს საზოგადოებას ისე, რომ მას ძალიან, ძალინ ბევრი რჩება გასაკეთებელი სამშობლოსთვის, ოჯახისთვის, შვილებისთვის, მეგობრებისთვის და საყვარელი სპეციალობისათვის.

სამწუხაროა, რომ მის ბიოგრაფიას უკვე ვიხსენებთ ძალიან ნაღვლიანად:

თემურ ტონია – პედიატრიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჰოსპიტალში „მედიქალსიტი". მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი.

1977-1983წ – კემეროვის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, პედიტრიული ფაკულტეტი.

1983-1984წ – ინტერნატურა კემეროვის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბაზაზე.

1984წ – ქ. ქუთაისში სკოლებისა და ბაგა-ბაღების ექიმი პედიატრი.

1984წ – ექიმი პედიატრი ქ. ქუთაისის ავტოქარხნის პოლიკნინიკაში.

1984-1985წ – ქ. ქუთაისში ავტოქარხნის რაიონის მთავარი ექიმის მოადგილე და ქალაქის მთავარი პედიატრი.

1985-2011წ – რეანიმაციული და პედიატრიული განყოფილების ექიმი, ქ. ქუთაისის ბავშვთა მრავალპროფილიან საავადმყოფოში.

2001-2003წ – ქ. ქუთაისის ჯანდაცვის სამსახურის უფროსი.

2010-2012წ – პედიატრიული სამსახურის უფროსი კლინიკა „ბომონდში".

2012წ – დღემდე – პედიატრიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჰოსპიტალში „მედიქალსიტი".

1991წ – დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1998წ – დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1998-1999წ – დაენიშნა საქართველოს პრეზიდენტის „ახალგაზრდა მეცნიერთა" სტიპენდია.



1995-2018 – ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედიატრიული კათედრის გამგე.

2000-2018 – ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

1991-1993წ – „ქუთაისის სამედიცინო ჟურნალის" რედაქტორი.

იყო საქართველოს რესპირაციული ასოციაციის წევრი, საქართველოს რესპირაციული ასოციაციის „პედიატრიის" სამუშაო ჯგუფის თანათავჯდომარე. ასევე „საქართველოს რესპირაციული ჟურნალის" სარედაქციო კოლეგიის წევრი; ასოციაციის რეგიონალური კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და სპიკერი.

მიღებული აქვს მრავალი სერთიფიკატი.

მუდმივად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში:

2012წ – ქ. სტამბული კონფერენცია ალერგოლოგიური დაავადებების შესახებ.

2015წ – ქ. ვარშავა კონფერენცია რესპირაციული დაავადებების შესახებ

ნათელში იყოს მისი სახელი



# საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია
## Georgian Children's Cardiologists Association

# SOS!
## დროულად ავიცილოთ თავიდან კარდიალური რისკი ახალგაზრდებსა და მოზარდებში

**საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის სარეკომენდაციო ბარათი:**

ბავშვთა და მოზარდთა პრევენციული კარდიოლოგიის განვითარებისათვის აუცილებელია თითოეული ოჯახისათვის გათვითცნობიერებული იყოს ექიმის გარდა, მათი პირადი პასუხისმგებლობა, რაც მდგომარეობს შემდეგში: სასურველია წელიწადში ერთჯერ ბავშვისთვის მინიმუმ ელექტროკარდიოგრაფიული (ე.კ.გ.) გამოკვლევა (მითუმეტეს თუ ოჯახში დატვირთული ანამნეზია: გულის იშემიური დაავადება, ჰიპერტენზია, ათეროსკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ).

აუცილებელია – წელიწადში ორჯერ ე.კ.გ. კვლევა სტაციონარში თერაპიული თუ ქირურგიული პროფილით ნამკურნალევი ბავშვებისათვის.

აუცილებელია ტონზილექტომიის 2,5 თვის შემდგომ კვლევა გულსისხლძარღვთა სისტემის მხრივ, კარდიოლოგის კონსულტაციით და ა.შ.

შეუძლებელია ერთ სარეკომენდაციო წერილში ყველა იმ პრობლემურ საკითხებზე საუბარი, რომლის წინაშეც ჩვენ ვდგებით და ამიტომ, საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია მზადაა პასუხი გასცეს მშობელთა და არამარტო მშობელთა ყველა სასურველ შეკითხვებს.

მოდით ერთად ვიზრუნოთ ჩვენს მომავალზე.

კეთილი სურვილებით,

საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი გ ჩახუნაშვილი

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია
„სამედიცინო კორპორაცია ევექსი“
EVEX MEDICAL CORPORATION




ერთ-ერთი პირველი ქართული პრეპარატები




წაკითხულია კლინიკური ლექციები ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგიის საფუძვლები - (სულ 4-ლექცია), სტუდენტების, რეზიდენტებისა და ექიმებთათვის. აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგთათვის. შესაძლებელია მსურველებს პრეზენტაციები ჩაგაწერინოთ.

(„ირ.ციციშვილის სახ. ბავშვთა ახალი კლინიკა“ – ლუბლიანას ქ. 21. დიღომი) რა თქმა უნდა,როგორც ყოველთვის, ეს იქნება საჩუქრის სახით.

(სასურველია წინასწარ შემითანხმდეთ – პროფესორი გიორგი ჩახუნაშვილი)













ჯანმრთელობის დაცვის ორი ფაქტორი, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია მსოფლიოს მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის, არის სუფთა წყალი და აცრა.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 4.06.03 №122/ნ ბრძანებით)

| ასაკი/ვაქცინა | დაბადებისთანავე | 2 თვე | 3 თვე | 4 თვე | 12 თვე | 18 თვე | 5 წელი | 14 წელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტუბერკულოზი ბცჟ (BCG) | BCG | | | | | | | |
| პოლიომიელიტი ოპვ (OPV) | | OPV1 | OPV2 | OPV3 | | OPV4 | OPV5 | |
| დიფთერია/ყივანახველა/ტეტანუსი-დყტ (DPT) | | DPT1 | DPT2 | DPT3 | | DPT4 | | |
| ვირუსული ჰეპატიტი B | HepB1 | HepB2 | | HepB3 | | | | |
| წითელა/ყბაყურა/წითურა–(MMR) | | | | | MMR1 | | MMR2 | |
| დიფტერია/ტეტანუსი–დტ (DT) | | | | | | | DT | |
| ტეტანუსი/დიფტერია-ტდ (Td) | | | | | | | | Td |

## სარეკლამო განცხადება

სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ სხდომა 3,19 ოქტომბერი, 2016 წ. დამტკიცებულ იქნა დასწრებული უწყვეტი სამედიცინო განათლების (უსგ) მოკლევადიანი პროგრამა. პროგრამის დასახელება: „ჯანმრთელი ,სპორტმენი, მოავადე ბავშვთა და მოზარდთა მოვლის, კვებისა და კურორტოლოგიის თანამედროვე ხედვა.“

პროგრამა განსაზღვრულია: ოჯახის ექიმი, პედიატრი, სკოლის ექიმი, რეგიონის სასტუმროების პასუხისმგებელი პერსნალი, სკოლამდელი ასაკის აღზრდის დაწესებულებები,– პასუხისმგებელი პერსონალი.პროგრამის განხორციელების ადგილი: საქართველოს ყველა ქალაქი და რეგიონი.

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ დაგვიკავშირდეთ.
საკონტაქტო: 599–76–84–77, 577–100–400.

BaZi

მისამართი:
შ.პ.ს. „ბაზი“ აღდგენითი თერაპიის ცენტრი – ლუბლიანას ქ.N 21 (დიღომი, ძველი ქვანიას სახ. ბ/საავადმყოფოს ტერიტორიაზე)

ტელ.: 599 52 77 55
E-mail bazi2015@yahoo.com

მთავარი რედაქტორი: გ. ჩახუნაშვილი
მოადგილე: თ. მიქელაძე, ნ. ჯობავა, გ. ძნელაძე
სარედაქციო საბჭო: – ნ. ბადრიაშვილი, ნ. თოფურიძე, დ. ჩახუნაშვილი, გ. ჩახუნაშვილი, კ. ჩახუნაშვილი, ვ. ცხომელიძე, ზ. შაქარაშვილი, ა. სარჯველაძე, ნ. თოთაძე, ივ. კუგოტი, ლ. ხუციძე, იგ. დოლიძე, დ. ცხომელიძე, დ. ტაბუცაძე.

მისამართი:
ლუბლიანას ქ. 21
ტელ.: 47-04-01
www.sppf.info

გასაყიდად არ გავრცელდება

ISSN 1987-9849